შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთი

# IBSU გაზეთი

www.ibsu.edu.ge

იანვარი 2023
ყოველსემესტრული გაზეთი №12

IBSU Media Centre/
IBSU TV & Radio IBSU

## ინტერვიუ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორ საფფეთ ბაირაქთუთანთან

დავით მათიაშვილი




ორწლიანი პანდემიის შემდეგ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კამპუსში სწავლა სრულიად აუდიტორიებში აღდგა. 2022-2023 სასწავლო წელი განსაკუთრებულია ბოლო ორი წლისგან განსხვავებით, რადგან ლექტორები და სტუდენტები დაუბრუნდნენ ცხოვრების აქტიურ წესს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ყოველდღიურად ასობით ადამიანი იყრის თავს. მიუხედავად იმისა, რომ იბსუ შეძლებისდაგვარად ადვილად გაუმკლავდა დისტანციურ სწავლას, რა თქმა უნდა, აუდიტორიებში სწავლის განახლება მეტად ხარისხიანი და პროდუქტიულია.

- უკვე ერთი თვეა რაც უშალოდ მიმდინარეობს აუდიტორიული სწავლება უნივერსიტეტებში, როგორ შეაფასებთ უშუალოდ აუდიტორიული სწავლის განახლებას და სტუდენტების დაბრუნებას უნივერსიტეტში?

- რა თქმა უნდა, ორ წლიანი პაუზის შემდეგ ძალიან სასიამოვნო აღმოჩნდა უნივერსიტეტის კამპუსში დაბრუნება და შესაძლებლობა გვაქვს ლექციები, სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობა თუ გასართობი ხასიათის ღონისძიებები დავუბრუნოთ უნივერსიტეტის კამპუსსა და აუდიტორიებს. მე, როგორც უნივერსიტეტის ლექტორი, ნამდვილად კმაყოფილი ვარ. ამ კმაყოფილებას მთელს ჩემს კოლექტივში ვხედავ, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებში. მე ყოველდღე უშუალო შეხება მაქვს სტუდენტებთან, მათთან დიალოგი ყველაზე კარგი გზაა იმისა, რომ დაინახო ის საჭიროებები, რომლებიც საგანმანათლებლო სივრცეს სჭირდება. მე ამას ვგრძნობ და ვხედავ განახლებული სასწავლო პროცესით თუ როგორი კმაყოფილები არიან და ბედნიერები. ეს ჩვენთვისაც დიდი სტიმულია.

- როგორ გამოხატავენ ამ ყველაფერს სტუდენტები? რის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი კმაყოფილები არიან?

- მათ ყოველთვის აქვთ სიტყვიერი გამოხატვის შესაძლებლობა. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში პირველ ადგილზე ვაყენებთ სტუდენტებს, რომლებიც ჩვენთან იღებენ განათლებას. ჩვენ ვხედავთ, როგორ აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა ღონისძიებაში. მათი სურვილია არა მხოლოდ დაესწრნონ ასეთ ღონისძიებებს, არამედ მათი მომზადების პროცესშიც აქტიურად იყვნენ ჩართულები. გარდა ამისა, მათი მონაწილეობით ხორციელდება არაერთი კლასგარეშე აქტივობა. არ არიან ჩაკეტილი ოთახებში ან სახლებში და ეძლევათ თავისუფლება, რომ ინტერესები დაიკმაყოფილონ. ვხედავთ, ახლად ჩამოყალიბებულ კლუბებს, მაგალითად, მუსიკის კლუბი, სიმღერის წრე, ცეკვის ახლადშექმნილი ანსამბლი, რომელიც აქამდეც ჰყავდა იბსუს, მაგრამ გვიხარია, რომ პანდემიის შემდეგ ისევ აღდგა ასეთი წრეები.

- რა გამოწვევების წინაშე აღმოჩნდით ონლაინ სწავლების პერიოდში და რა გამოწვევებია ახლა?

- ვერ უარვყოფთ, რომ პანდემია თავისთავად გამოწვევების პერიოდი იყო, მთელი ორი წლის განმავლობაში. მე რამდენჯერმე აღვნიშნე, რომ პანდემიის პერიოდმაც განსაკუთრებული შეფერხებების გარეშე ჩაიარა ჩვენთვის და ჩვენი უნივერსიტეტისთვის. სისტემებმა გამართულად იმუშავა, რაც ყველაზე მთავარი იყო და რისთვისაც ვიბრძოდით იმ დროს. გუგლ მითიდან ლექციების ჩატარება შესანიშნავად შევძელით. არ ჩაგვივარდა არც ერთი ლექცია და გავაკეთეთ მთლიანი პროგრამა ისე, როგორც დაგეგმილი გვქონდა აკადემიური კალენდრის მიხედვით. გულწრფელად რომ გითხრათ, პანდემიის შემდეგ, სტუდენტების დიდი ნაკადი მივიღეთ და ამის გამო შეიძლებოდა პრობლემები შეგვქმნოდა უნივერსიტეტში, რადგან ასე სწრაფად ვერ დაგვეკმაყოფილებინა ამდენი სტუდენტის მოთხოვნები, ასე სწრაფად ვერ დავბრუნებოდით ჩვეულ რეჟიმს, ვერ განგვესაზღვრა და შეგვეფასებინა ადეკვატურად ახალი და ჩვენთვის აქამდე უცხო გამოწვევები, მაგრამ სწორი დაგეგმვით, გამოწვევების სწორი შეფასებით, ხშირი სხდომებით, სტუდენტებთან აქტიური კომუნიკაციით, თავიდან ავირიდეთ ყველა შესაძლო დარღვევა. გადაწყვეტილების სწრაფად და ერთობლივად მიღების უნარი, პრობლემების მოგვარებაში სხვადასხვა მხარის ჩართვის უნარი დაგვეხმარა, რომ ჩვენ, ახალი სასწავლო წელი უფრო იოლად დაგვეგეგმა.

- რა სიახლეებს შეიძლება ელოდონ სტუდენტები უნივერსიტეტისგან, როგორც საგანმანათლებლო კუთხით, ასევე ინტელექტუალური განვითარების მხრივ?

- მოგეხსენებათ, რომ გაცვლით პროგრამებში ორწლიანი პაუზა მოსალოდნელი იყო. მართალია, ეს არ ყოფილა 100%-იანი პაუზა, იყო შემთხვევები, როდესაც სტუდენტები მაინც ახერხებდნენ მონაწილეობა მიეღოთ გაცვლით პროგრამებში, რა თქმა უნდა, რეგულაციების სრული დაცვით, მაგრამ იყო შეფერხებები და პრობლემები. წელს, გვინდა, რომ უფრო მეტმა სტუდენტმა მიიღოს მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და ამ მხრივ კვლავ ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დავიკავოთ, როგორც უნივერსიტეტმა. გარდა ამისა, ღონისძიებები, რომლებიც ტარდებოდა ციფრულ ფორმატში, დავაბრუნოთ ძველებურ ფორმატში, ცოცხლად შეგვიძლია ვუყუროთ ერთმანეთს, დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებს და გავიზიაროთ ერთმანეთის ბედნიერება. უშუალო კონტაქტით მივხვდეთ რა გვჭირდება და როგორ შეიძლება მივიღოთ ეს საჭიროება. უმნიშვნელოვანესია, რომ უშუალოდ ჩაერთონ სტუდენტები საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მინდა, რომ ეს წლები განსაკუთრებით საინტერესო და დასამახსოვრებელი აღმოჩნდეს მათთვის. ამ თვეში უკვე რამდენიმე ღონისძიება ჩავატარეთ კამპუსში, დასწრებით ფორმატში და ვხედავთ მონატრებულ სახეებს.

- მოგეხსენებათ, ყველა პროგრამა არ არის დაფუძნებული მხოლოდ თეორიულ ცოდნაზე. თეორიის პრაქტიკაში გამოყენება უფრო დიდი ცოდნას ნიშნავს. ჟურნალისტიკა არის ერთ-ერთი სფერო, სადაც პრაქტიკულ სწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. იბსუს მედია ცენტრს, რომელიც ახლახან მოეწყო, ყველა საშუალება აქვს მომავალი ჟურნალისტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. მომარაგებულია კამერები, ლეპტოპები, მიკროფონები. როცა ჩვენი კურსდამთავრებული მივა რომელიმე მედიასაშუალებაში სამუშაოდ, ის არ იქნება უცხო მიკროფონთან, კამერასთან და ყველა სხვა აპარატურასთან. (ექრემ დინდაროღლი)




### IBSU-მ აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენციას


INTERNATIONAL
Scientific Indexing
Fresh Ideas for Growing your Citations

Certificate

This is to certify that **Journal in Humanities** is indexed in International Scientific Indexing (ISI). The Journal has Impact Factor Value of 2.357 based on International Citation Report (ICR) for the year 2021-2022 . The URL for journal on our server is

### IBSU-ს სამეცნიერო ჟურნალმა მაღალი სამეცნიერო ინდექსი



### მულტიდისციპლინური საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია



### უკრაინის ბრძოლა თავისუფლებისთვის

# გაცვლითი პროგრამები, როგორც დიდი ცვლილებების დასაწყისი



გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში, მარიამი სრული დაფინანსებით ცხოვრობდა, რომელიც მოიცავდა საცხოვრებლის, ყოველდღიური საჭიროებებისა და ტრანსპორტირების ხარჯებს. სეგედში სწავლების ფორმატიც განსხვავებული იყო. ლექციების ხანგრძლივობა მაქსიმუმ 90 წუთს შეადგენდა, საგნები დაყოფილი იყო პრაქტიკულ და თეორიულ კურსებად, შეფასების სისტემა 5 ბალიანი, რომელიც საერთოდ არ მოიცავდა შუალედურ გამოცდებს და ქვიზებს, ფინალურები კი თითქმის ყველა ზეპირი გამოცდის სახით ჰქონდა.

მარიამმა სეგედში დიდი გამოცდილება უცხო ენის დახვეწის მხრივ მიიღო, რადგან იგი თბილისში ქართულ სექტორზე სწავლობდა. ეს გაცვლითი პროგრამა კი მას ენობრივი რესურსების განვითარებასა და დახვეწაში დაეხმარა.

მარიამ თვარაძე: “ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ჩემი ამ ნაბიჯის შემდეგ. პირველ რიგში გავხდი უფრო თავდაჯერებული და დამოუკიდებელი. ის განცდა, რომ მე ვარ ჩემი ცხოვრების, არჩევანის და მიმართულებების ბატონ-პატრონი, მეტად გამიძლიერდა და გამიუმჯობესდა საკომუნიკაციო უნარები. ვფიქრობ, ნებისმიერ ადამიანთან შემიძლია ძალიან მარტივად საერთო ენის გამონახვა, დავინახე მეტი შესაძლებლობები და პერსპექტივები”.

მარიამმა უნგრეთში ყოფნისას უამრავი მეგობარი შეიძინა, როგორც თანაკურსელები ასევე პროფესორები.

მარიამ თავაძე: “ამ 6 თვის განმავლობაში, ძალიან ბევრი ჩარჩო დაიმსხვრა ჩემს ცხოვრებაში და შემიძლია ვთქვა რომ სიახლეებისადმი კიდევ უფრო მეტად ღია და მიმღები გავხდი, გამიფართოვდა თვალსაწიერი როგორც ჩემს კონკრეტულ პროფესიაში, ასევე ზოგადად ადამიანური თვალსაზრისითაც. ენასთან დაკავშირებით ბევრი კომპლექსი მომეხსნა და ახლა ზუსტად ვიცი, როგორ ვიმუშავო საკუთარ თავზე უკეთესი შედეგების მისაღებად. გაცვლითი პროგრამიდან დაბრუნების შემდეგ მაქვს განცდა, რომ ვიპოვე ჰარმონია, რადგან ზუსტად ვიცი რა მინდა,როგორ მინდა, სად და როდის”.

IBSU-ს სტუდენტებს მარიამი ურჩევს აქტიურად ჩაერთონ Iro IBSU-ს ფეისბუკის და ვებსაიტის კონტროლში, თვალი ადევნონ ერასმუსის ინსტაგრამ გვერდს და სხვა სოციალურ ქსელებს, სადაც უამრავი პროექტი ყოველდღიურად ქვეყნება.

ანი ქერაშვილი: “ვარშავაში, კოზმინსკის უნივერსიტეტში სუდენტური ცხოვრება მართლაც გამორჩეული და საინტერესო აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-პანდემიის გამო სასწავლო პროცესი დისტანციურად მიმდიანრეობდა, უნივერსიტეტმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კოორდინატორების მიერ სწორად დაგეგმილი აქტივობებით გავიცანი



ლექტორები, კურსელები, ასევე ვისარგებლე უნივერსიტეტის საუცხოო ბიბლიოთეკით. სასწავლო პროცესი უმეტესად პრაქტიკული იყო, რაც უფრო სახალიხოხ და ეფექტურს ხდიდა მეცადინეობას. ლექტორები აქტიურად იყენებდნენ საბონუსე სისტემას, რომელიც საკმარისი ქულების დაგროვების საშუალებას იძლეოდა ფინალური გამოცდების ჩაბარების გარეშე, რაც კიდევ უფრო ნაკლებ სტრესულს ხდიდა სწავლის პროცესს”.

Erasmus+- ის პროექტის ფარგლებში ანის დაუფინანსდა ერთი სემესტრით კოზმინსკის უნივერსიტეტში სწავლა და საცხოვრებელი. ასევე, ჰქონდა სტიპენდია, რომელიც საკმარისი იყო უცხო ქვეყანაში სასიამოვნოდ დროის გასატარებლადაც.

ანი ქერაშვილი: “კოვიდ ეპიდემიის დროს ჩავედი პოლონეთში და მიუხედავად პანდემიისა, გავიცანი უამრავი ადამიანი და შევიძინე უცხოელი მეგობრები, რომლებიც გამოირჩეოდნენ ცოდნით, აზროვნებით და წარმოუდგენლად თავისუფლები და შრომისმოყვარეები იყვნენ. მათთან ერთად ბევრი ვიმოგზაურე და ულამაზესი ადგილები მოვინახულე. მართლაც, არაფერია იმაზე საინტერესო, როცა სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ეცნობი და ერთმანეთს უზიარებთ ინფორმაციას საკუთარი კულტურის თუ მნიშვნელოვანი გლობალური საკითხების შესახებ”.

ახლა ანი IBSU-ში მეოთხეკურსელია და თამამად ამბობს, რომ ვარშავადან დაბრუნების შემდეგ საქართველოში “გაზრდილი ანი” დაბრუნდა.

ანი ქერაშვილი: “მეტად საინტერესოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ მე, როგორც პიროვნება, საკმაოდ შემცვალა ამ ნაბიჯმა. მეტად ჩამოყალიბებული, გამბედავი, კომუნიკაბელური, თავდაჯერებული და მიმღები გავხდი. ამ შინაგანმა ცვლილებებმა კი მომცა რწმენა იმისა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია არ მისცეთ ცხოვრებას იმის უფლება უბრალოდ ჩაიაროს, JUST DO IT!”

## ამერიკისმცოდნეობის მე-13 საერთაშორისო კონფერენცია



კონფერენცია იბსუში აშშ-ს ელჩმა, კელი დეგნანმა გახსნა. „ეს ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ინგლისურის სწავლა. სტუდენტები სწავლობენ კრიტიკულ აზროვნებას, იკრიბებიან არა მხოლოდ მთელი რეგიონიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც, მათ შორის ამერიკიდან. ერთად მსჯელობენ და საუბრობენ ისეთ მულტიდისციპლინარულ თემებზე, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ამერიკისთვის ასევე, საქართველოსთვის“ – აღნიშნა ელჩმა.

უნივერსიტეტის რექტორის დოქტორ საფფეთ ბაირაქთუთანის შეფასებით, ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების მაღალ დონეს ადასტურებს კურსდამთავრებულთა განათლების მაღალი ხარისხი და ამერიკის საელჩოს მუდმივი თანადგომა უნივერსიტეტის და ამ პროგრამების მიმართ. 2022 წლის რიგით მე-13 კონფერენცია ა.შ.შ.-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30-ე წლისთავს მიეძღვნა.

# ინტერვიუ ფსიქოლოგ და კლინიკა ჰეპა + -ის დამფუძნებელ მანანა სოლოღაშვილთან

ანა ჩალაშვილი

ფსიქოლოგი მანანა სოლოღაშვილი



უკვე ოცი წელია ნარკოდამოკიდებულ ადამიანებთან მუშაობს და ამ პრობლემების დასაძლევად საკუთარი კლინიკა „ჰეპა+“-ც დაარსა. ფიქრობს, რომ სხვა ფსიქოლოგებისგან ამ ადამიანებთან ამდენ წლიანი გამოცდილება გამოარჩევს. უფრო კონკრეტულად მის პროფესიულ გამოცდილებასა და ამ პრობლემებზე ინტერვიუში წაიკითხავთ.

- როდის და რატომ გადაწყვიტეთ, რომ გამხდარიყავით ექიმი ფსიქოლოგი?

- თავიდან ამ პროფესიაზე, ექიმ ფსიქოლოგობაზე, სერიოზულად არ ვფიქრობდი. სიმართლე გითხრათ, ექიმი მინდოდა, რომ ვყოფილიყავი, მაგრამ არა - ფსიქოლოგი. ჯერ კიდევ სამი წლის ვყოფილვარ, როცა მითქვამს ექიმი მინდა გამოვიდე- მეთქი, როგორც ეს ბავშვების უმრავლესობის ოცნებაა. აზრი ვერ შემაცვლევინეს მშობლებმა. ოჯახში ექიმი არავინ ყოფილა, ამიტომ ეს ფაქტორი არ ყოფილა, გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე. როცა სკოლას ვამთავრებდი, ძალიან დიდი კონუკრსი იყო და ყველა მკეუბნებოდა მხოლოდ შენი შრომით ვერაფერს მიაღწევო. თუმცა ვთვლი, რომ მიზანდასახული ვიყავი და ყველაფერი მშვენივრად გამომივიდა. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვმუშაობდი ამ პროფესიით, შემდეგ მივხვდი, რომ ფსიქოლოგობა უფრო მაინტერესებდა და სწავლა ფსიქოლოგიის მიმართულებით გავაგრძელე. ეს უფრო სხვა, სპეციფიკური სფეროა.

- რამ გადაგაწყვეტინათ, რომ დახმარებოდით ნარკოდამოკიდებულ ადამიანებს?

- ვმუშაობდი ძალადობისაგან დაცვის ეროვნულ ცენტრში და სწორედ მოძალადეებთან მუშაობისას მივხვდი, რომ თითქმის 99% ადამიანებისა, ვინც ოჯახში ძალადობს, ნარკო-ალკო დამოკიდებულია. გამიჩნდა სურვილი, რომ შემესწავლა სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც შევძლებდი დავხმარებოდი ამ ადამიანებს და რადგან მათთან მუშაობის გამოცდილებაც მაქვს ,და არა მხოლოდ ძალადობის მსხვერპლებთან. იქიდან უკვე გადავერთე 12 ნაბიჯის მეთოდის ფსიქო სარეაბილიტაციო მეთოდზე, რომელიც არამარტო დამოკიდებულებებთან მუშაობისთვისაა კარგი, არამედ პიროვნულად ვისაც უნდა, რომ გაიზარდოს.

-როგორ ფიქრობთ თქვენ სხვა ფსიქოლოგებისგან და ამ სფეროში მომუშავე ადამიანებისგან რა გამოგარჩევთ?

-ალბათ ჩემი გამოცდილება. ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს ციხეებში მუშაობის. ძალადობის მსხვერპლ ქალებთან და ბავშვებთან. მოძალადეებთან მუშაობის გამოცდილებაც. ქალთა ციხეში ყველაზე დიდი გამოცდილება მაქვს. ასევე არასრულწლოვანთა ციხეშიც. გარდა ამისა, ნარკოდამოკიდებულებთან დღემდე ვმუშაობ ამ პროგრამით 2005 წლიდან მოყოლებული.

-რომელიმე განსაკუთრებულ შემთხვევას ხომ არ გაიხსენებდით ასეთ ადამიანებთან მუშაობის გამოცდილებიდან?

-ერთი ესეთი შემთხვევა იყო 20 წლის მოხმარების გამოცდილებით ადამიანი, რომელიც ბოლო ათი წელი იყო ძალიან რთულ მოხმარებაში. პროგრამაში ძმამ მოიყვანა. ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ ლაპარაკი არ შეეძლო. სუფიქტარული იყო. თითქმის ერთი წელი, დაახლოებით ათი თვე მაინც დასჭირდა, რომ ზოგადად ხმა ამოეღო. ხმა, რომ ამოიღო პირველი წინადადება, რაც თქვა იყო - „მე თქვენ აფერისტი მეგონეთ ქალბატონო მანანა“-ო. რა მეთოდი არ მიცდია, სად არ ვყოფილვარ, მაგრამ არაფერმა მიშველაო. ეს წინადადება იყო დასაწყისი იმის, რომ პროგრამამ მოქმედება დაიწყო. არ მეგონა თუ იქიდან რამე გამოვიდოდა. ეს ადამიანი დღემდე არის სუფთა.

- თქვენ აღნიშნეთ, რომ ციხეებში ნარკოდამოკიდებულ ქალებთანაც მუშაობდით. რამ გადაგაწყვეტინათ მათთან მუშაობა?

- როდესაც ჩვენ ამით დავინტერესდით პოლონელებმა გაგვიზიარეს ეს პროგრამა. მათი გამოცდილება იყო, რომ ყველაზე კარგად მუშაობს ციხეში. მაგრამ იქ ვერ გაივლის ადამიანი თორმეტივე ნაბიჯს. უნდა დაიწყოს და მერე გააგრძელოს. აქედან გაჩნდა იდეა. შემდეგ გამოგვიჩნდა დონორები და ასე მოვხვდით ქალთა ციხეში.

-რაიმე შედეგი გამოიღო ამ ადამიანებთან ციხეში მუშაობამ?

-სამი ადამიანი ციხიდან ახლა ჩემი თანამშრომელია. ასე, რომ შეიძლება ითქვას, შედეგის არის.

- ახალგაზრდებში, ვგულისხმობ, სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რამდენად ხშირია ნარკოდამოკიდებულება. თუ მოდიან თქვენთან და თუ გაქვთ მათთან მუშაობის გამოცდილებაც?

-ძალიან ძნელად მოდიან ჩვენამდე. ძალიან ძნელად. უფრო კლუბურ ნარკოტიკებზე არიან ახალგაზრდები დამოკიდებულები. ჩვენი ზიანის შემცირების ქსელის წევრი ორგანიზაცია „მანდალა“ მუშაობს მათთან ძირითადად.

-რა რჩევას მისცემდით მოზარდებს, თინეიჯერებს, სტუდენტებს და ზოგადად ახალგაზრდებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან, როგორც ფსიქოლოგი?

-პირველ რიგში, ვისაც არ დაუწყია ვეტყვი, რომ არ გასინჯოს. ერთი გასინჯვაც კი ფსიქოლოგიურ ლტოლვას იწვევს. ვინც დაიწყო მოხმარება იმას ვურჩევ, რომ ვიდრე სერიოზული გართულებები ჩამოჰყალიბებია ითხოვოს დახმარება და ვისაც უკვე დახმარება სჭირდება არ მოერიდოს და ხმამაღლა ითხოვოს ის. ჩვენ ყველანაირი სერვისი გვავქს ოღონ მოვიდნენ და მოუნდეთ თავის დანებება. ჩვენნაირი სერვის ცენტრები მაგისთვის არსებობს. ჩვენ თუ არ გვაქვს შევეცდებით, რომ გადავამისამართოთ სხვაგან.

## სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის საერთაშორისო შეხვედრა იბსუში



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული პლატფორმის (SEEP) საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა. SEEP-ის შეხვედრის გახსნის ღონისძიებას სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული 70-ზე მეტი სტუდენტი დაესწრო. შეხვედრის ორგანიზებაში 25 ქართველი ახალგაზრდა ჩაერთო. ინიციატივა სტუდენტებს ერთმანეთის გაცნობის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისა და უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებას აძლევს. ამ მასშტაბის ღონისძიება ESN-ის წევრ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში პირველია. ESN (Erasmus Student Network) ევროპის უდიდესი სტუდენტურ-მოხალისეობრივი ორგანიზაციაა, რომელიც 41 ქვეყნის 15 000-ზე მეტ მოხალისეს აერთიანებს პრინციპით - “სტუდენტები ეხმარებიან სტუდენტებს.”

SEEP-ის შეხვედრა ESN-ის ყოველწლიური ინიციატივაა, რომელსაც ორგანიზება ESN Georgia-მ გაუწია.



# ანა მიქიაშვილი: ბავშვი, საკუთარი თავის სიყვარულს, გარშემომყოფებისგან სწავლობს

ნინი შაორშაძე



ანა მიქიაშვილი განათლების ფსიქოლოგია. როდესაც ჯერ კიდევ დაწყებითი კლასების მოსწავლე იყო, მის თანაკლასელებს მშობლები ფულს აძლევდნენ ხოლმე, თუ ისინი „ხუთიანს“ მიიღებდნენ. ანასთვის მშობლებს არასდროს არაფერი მიუციათ „ხუთიანის“ გამო. შოკოლადსაც კი არ შეჰპირებიან კარგი სწავლისთვის. იმ დროს გული სწყდებოდა, ახლა კი მშვიდადაა, რადგან ზუსტად იცის, სწორედ ამგვარმა მიდგომამ განაპირობა, რომ მისთვის სწავლის პროცესი უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, ვიდრე ქულებში ასახული შედეგი.

ანასგან გავიგებთ თუ როგორ უნდა მოვექცეთ ზრდასრულები მოზარდებს, რომ მოტივაცია არ დაკარგონ, თვითშეფასების ნაკლებობა არ განუვითარდეთ, საკუთარი თავის სიყვარული ისწავლონ და უფრო კეთილგანწყობილნი გახდნენ.

ფსიქოლოგის თქმით, მოტივაცია მოძრაობას ნიშნავს. ეს არის ძალა, რომელიც გვიბიძგებს მოქმედებისკენ. ის არ გვავალდებულებს, მაგრამ ხელსაყრელ პირობებს გვიქმნის წინსვლისთვის, ცვლილებებისთვის. ანა აღნიშნავს, რომ ზრდასრულები უნდა დაფიქრდნენ, შედის თუ არა ბავშვის ინტერესებში ის, რის გაკეთებასაც მას სთხოვენ და რაც ყველაზე მთავარია, შესაბამისობაშია თუ არა მოზარდის უნარებთან და შესაძლებლობებთან მათი ეს სურვილი.

„მშობლები ხშირად ამბობენ, რომ ბავშვს არ აქვს მოტივაცია, თუმცა აღმოჩნდება, რომ ინდივიდს მოტივაცია აქვს, მაგრამ სხვა ინტერესებთან მიმართებით და არა იმ კონკრეტულის მიმართ, რასაც მასწავლებლები ან მშობლები ავალდებულებენ.“

ბავშვის მიმართ კმაყოფილების სიტყვიერი გამოხატვის მნიშვნელობაზე საუბრისას, ანა მიქიაშვილი აღნიშნავს, რომ შექება აუცილებლად უნდა იყოს რეალისტური და დამსახურებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის, რომ ვაწესებთ მაღალ მოლოდინებს და მოზარდს შეცდომის დაშვების უფლებას არ ვუტოვებთ. ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბავშვის ყველა წარმატება და უნარი. მისი ყველა მცდელობა უნდა იყოს დაფასებული და შემჩნეული. „ასე ხდება, როდესაც გვაქებენ, ვხვდებით, რომ რაღაც კარგად გამოგვდის და თვითშეფასებაც ადეკვატური გვაქვს. როცა ვიცით, რომ გამოგვივა, თამამად ვბედავთ“.

ანა აღწერს ნაბიჯებს, რომლებიც უნდა გადაიდგას ბავშვის გარშემომყოფების მიერ, რათა ის უფრო მიზანდასახული გახდეს. „თუ ინდივიდს აქვს გამოცდილება, რომ რაღაც კარგად გამოუვიდა, მით უფრო მაღალია მისი თვითშეფასება. აუცილებელია გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ რა მიზნებსაც ჩვენ, ზრდასრული პიროვნებები ვუსახავთ მას, იყოს მისი შესაძლებლობების ადეკვატური. მას უნდა ჰქონდეს პროცესებთან გამკლავების უნარი. ბავშვს, რომლის მიმართაც მაღალი მოლოდინები აქვთ, საკუთარი თავის მიმართაც მაღალი მოთხოვნები უვითარდება. ამ დროს კი, უჭირს ისეთი მიზნის დასახვა, რომელიც მართლა მიღწევადია.“

ანას თქმით, დაბალ თვითშეფასებასთან ერთად, ზომაზე მაღალი თვითშეფასებაც უარყოფით გავლენას ახდენს მოტივაციის ხარისხზე. „ზოგჯერ, ბავშვი ფიქრობს, რომ მას უკვე საკმარისზე მეტი მიღწევა აქვს და შესაძლოა, სიახლის ძიება აღარც კი მოუნდეს. ამიტომ, საფრთხე ამ შემთხვევაშიც არსებობს. თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს დაბალი თვითშეფასების მქონე ინდივიდების დემოტივაციასთან, ბავშვებს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, რომ საკუთარი თავი გამოსცადონ, შეისწავლონ, საკუთარი ძალების ირწმუნონ. ჩვენ კი ისეთი რაღაცები უნდა შევთავაზოთ, რაც მათთვის სასიამოვნოა.“

შეკითხვაზე, თუ როგორ ვასწავლოთ ბავშვს საკუთარი თავის სიყვარული, ანა გვპასუხობს: „ბავშვი, საკუთარი თავის სიყვარულს, სწავლობს გარშემომყოფებისგან. ფიქრობს – თუ მშობლებს უპირობოდ ვუყვარვარ, მეც მიყვარს საკუთარი თავი, ხოლო თუ სიყვარულის სანაცვლოდ, პირობები მიწესდება, არ ვარ იდეალური. პირობითად, რამდენიმე საფეხური არსებობს: პირველი – როგორი დამოკიდებულება აქვთ და როგორ ავლენენ სიყვარულს მშობლები ბავშვის მიმართ; მეორე – როგორ უყვარს მშობელს საკუთარი თავი და როგორ ავლენს ამ სიყვარულს საკუთარი თავის მიმართ; მესამე – როგორ უყვართ მშობლებს ერთმანეთი და როგორ ავლენენ სიყვარულს ერთმანეთის მიმართ და მეოთხე – როგორ ექცევიან ისინი გარშემომყოფებს.“




მშობლების არასწორი ქცევითი გამოხატულებების უარყოფით შედეგებზე საუბრისას, ანა გვეუბნება, რომ ჰიპერმზრუნველი მშობლების შვილებს, ხშირად აქვთ მოტივაციის ნაკლებობა. ისინი მიჩვეულები არიან, რომ მათ ნაცვლად, დედა, მამა ან ნებისმიერი სხვა გააკეთებს ამა თუ იმ საქმეს. არ უჩნდებათ სურვილი გამოვიდნენ კომფორტის ზონიდან და თავად სცადონ, თუნდაც, შეცდომა დაუშვან. „ეს ბავშვების ბრალი არ არის. არ გვაქვს უფლება და ვერ დავადანაშაულებთ თუ ზრდასრულ ასაკშიც ვერ გამოვლენ ამ როლიდან და ყოველთვის დაელოდებიან, რომ მათ ნაცვლად საქმეს სხვა გააკეთებს. ჩვენ იმაზე უფრო მეტი უნდა ვიფიქროთ თუ რა ახშობს ინდივიდის ბუნებრივ მოტივაციას და რა უშლის ხელს საკუთარი რესურსების გამოვლენაში და არა გამუდმებით ვეძებდეთ პასუხს შეკითხვაზე თუ როგორ ავუმაღლოთ ბავშვებს მოტივაცია.“

## პირველი მულტიდისციპლინური საერთაშორისო კონფერენცია იბსუში



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით, 2022 წელს პირველად ჩატარდა მულტიდისციპლინური საერთაშორისო სტუდენტური კონფერენცია. კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებში კვლევითი და ანალიტიკური უნარებისა და ისეთი ტრანსფერული უნარების გამომუშავებას, როგორიცაა ფართო აუდიტორიის წინაშე გამოსვლა, საკუთარი პროექტის წარდგენა და მოსაზრებების დაცვა.

კონფერენცია ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს. მომავალში იგეგმება წარმოდგენილი სექციებისა და დისციპლინების

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მედია ცენტრი გაიხსნა



მრავალფეროვნების გაზრდაც.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (IBSU) მედია ცენტრი გაიხსნა, სადაც ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტებს პრაქტიკული საქმიანობა შეეძლებათ.

მედია ცენტრი, რომელიც მოიცავს, სარედაქციო ოთახს, ე.წ. ნიუსრუმს, ტელე და რადიო სტუდიებს, აღჭურვილია სტუდიური და საველე ვიდეოკამერებით, სამონტაჟო კომპიუტერებითა და სხვა აუცილებელი სტაციონარული ტექნიკით.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის, დოქტ. საფფეთ ბაირაქთუთანის შეფასებით, მედია ცენტრი ხელს შეუწყობს სტუდენტების პროდუქტიულობის გაზრდას, ჩაიწერება საინტერესო გადაცემები, მომზადდება რეპორტაჟები, სიუჟეტები და ინტერვიუები. მედია ცენტრში პრაქტიკული გამოცდილების მიღება შეეძლებათ როგორც ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებს, ასევე სხვა პროგრამების სტუდენტებს, რომლებსაც მედია ტექნოლოგიები აინტერესებთ.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ პირველი არხის გენერალური დირექტორი თინათინ ბერძენიშვილი, ჰოლდინგ „პალიტრას“ დირექტორი გიორგი თევდორაშვილი, რადიო ჰოლდინგ „ფორტუნას“ გენერალური დირექტორი თამარ ჩიგოგიძე, პირველი არხის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ბონდო მძინარიშვილი და ლიკა ბასილაია-შავგულიძე, მედიის მოქმედი ჟურნალისტები და პროგრამის კურსდამთავრებულები.

# კახა გალდავა: მასწავლებელს დღეს უწევს შეითავსოს მასწავლებლის, ფსიქოლოგის, მშობლის, მეგობრის და ამავე დროს ჯანსაღი კრიტიკოსის ფუნქცია

დავით მათიაშვილი



სწავლია, თავიდანვე იყო ჩემში. სესილია თაყაიშვილი ამბობდა, მასწავლებლად უნდა დაიბადოო, ჰოდა ალბათ ჩემში თავიდანვე იყო რაღაც მარცვალი, რომლის აღმოცენებას და მოვლას 15 წლის მანძილზე ყოველდღიური ზრუნვის ხარჯზე ვახდენ. როდესაც სკოლას ვამთავრებდი უკვე ვიცოდი, რომ რამდენიმე წელში სკოლაში დავბრუნდებოდი და ზუსტად 5 წელში იქ სადაც სკოლა დავასრულე დავბრუნდი მასწავლებლად.

– 15 წლიანი გამოცდილების, სწავლის და განვითარების ფონზე, როგორ ფიქრობთ რა შეიცვალა თქვენში, როგორ განვითარდით პროფესიულად?

– სკოლაში მუშაობის 15 წელი შეიძლება არც ბევრია და მაგრამ არც ცოტაა. ყოველ წელს ვხვდები, რომ ცვლილებები აუცილებელია. შეიძლება წელს რასაც აკეთებ იმ მეთოდებიდან არცერთი არ იყოს შემდეგი წლისთვის სასარგებლო და მისაღები. მოსწავლეთა განვითარების დონე და ინდივიდუალური საჭიროებები მუდმივად იცვლება. რაც არ უნდა მრავალფეროვანი გეჩვენებოდეს მასწავლებელს განხორციელებული აქტივობები, შეიძლება საერთოდ არ იმუშაოს თუ მოსწავლეთა კონკრეტულ საჭიროებებს არ იცნობ და არ ითვალისწინებ. დღეს, მასწავლებლობა გაცილებით რთულია ვიდრე ჩემი ბავშვობის პერიოდში, ოთხმოცდაათიანებში იყო. დღეს მწვავედ დგას ემიგრაციაში მყოფი მშობლების შვილების საკითხი. მასწავლებელს დღეს უწევს შეითავსოს მასწავლებლის, ფსიქოლოგის, მშობლის, მეგობრის და ამავე დროს ჯანსაღი კრიტიკოსის ფუნქცია. ვფიქრობ, რომ ოცდამეერთე საუკუნის მასწავლებლის მთავარი გამოწვევა მარტო საგნის კარგად ცოდნა კი არა, არამედ სოციალური უნარების განვითარებისთვის ზრუნვაა. ამიტომ ყოველი წლის ბოლოს ვაჯამებ ჩემ ჩატარებულ სამუშაოებს და განვლილი წლის შეფასების საფუძველზე ვგეგმავ ახალ სასწავლო წელს

– რა მეთოდებს იყენებთ საგაკვეთილო პროცესში, რაც გამოგარჩევთ სხვა პედაგოგებისგან?

– საგაკვეთილო პროცესი მთლიანად აგებული მაქვს ჰუმანურ პედაგოგიკაზე. შეიძლება ვინმემ თქვას, რომ დღეს ვიღას უკვირს მასწავლებელი რომ არ ყვირის, არ ჩხუბობს, შეურაცხყოფას არ აყენებს ბავშვებს და დისკრიმინაციას



არ უწევს სხვადასხვა სახითო, მაგრამ დამიჯერეთ დღეს ამის არაერთი მაგალითი და გამოვლინებაა ჩვენ ქვეყანაში. ჩემი გაკვეთილი არასოდეს არის ერთნაირი. ვცდილობ სხვადასხვა მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილი აქტივობებით, ფილმებით, დისკუსიით, მოვლენათა ანალიზით, არგუმენტირებული მსჯელობით, კონსტრუქტივისტული მიდგომებით და სწავლა – სწავლების სხვადასხვა სტრატეგიების დაუფლებით გავიდეთ ფონს. თქვენ წარმოიდგინეთ მოსწავლეს მადლობას ვუხდი, როცა შეცდომას უშვებს გაკვეთილზე, რადგან ეს არის საუკეთესო საშუალება მისცე მოსწავლეს ეფექტური უკუკავშირი და იქვე ვეუბნები, რომ მან საშუალება მისცა საკუთარ თავსაც და დანარჩენ მოსწავლეებსაც, რომ აქ, საკუთარ მოედანზე მოახდინონ, ის ცვლილებები, რომელიც მომავალში მათ დაეხმარება გახდნენ სრულფასოვანი მოქალაქეები.

– თქვენს მიერ მასწავლებელთა ეროვნულ კონფერენციებში მიღებულ მონაწილეობასა და გამოცდილებაზე რა შეგიძლიათ გვიამბოთ?

– მასწავლებელთა ეროვნულ კონფერენციაზე ორჯერ მივიღე მონაწილეობა მომხსენებლის ამპლუაში. ასევე, სამჯერ ქვეყნის გარეთ დაგეგმილ საერთაშორისო კონფერენციებზე, ერთხელ ერევანში 2019 წელს და ორჯერ სტამბულში 2020 და 2021 წლებში. ვფიქრობ, მსგავს ღონისძიებებში ჩართულობა მნიშვნელოვანია მასწავლებლებისათვის, რადგან ისე არაფერი ზრდის მასწავლებელს პროფესიულად, როგორც თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

გაგრძელება გვ.4

# მარიამ ქობალიას პირველი გაცვლითი პროგრამა ესტონეთში

თამთა მჭედლიშვილი



მარიამ ქობალია

მარიამ ქობალია გაცვლითი პროგრამით ესტონეთში წელს, პირველად იმყოფებოდა. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, უკვე მესამე თვეა ტარტუს უნივერსიტეტის ნარვას კოლეჯის ფილიალში, ინგლისური ენის მიმართულებით სწავლობს. მარიამი ესტონეთში სპეციალური პროგრამით იმყოფება, რომელიც ოკუპირებული აფხაზეთიდან სტუდენტებისთვის შეიქმნა. იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მანამდე გალის რაიონის სკოლებში სწავლობდნენ. კონკურსში მონაწილეობისთვის მარიამმა ონლაინ აპლიკაცია შეავსო, ინგლისურ ენაში ტესტირება და ბოლოს გასაუბრება გაიარა. იგი, სამივე ეტაპის შემდეგ ესტონეთში გაემგზავრა ორ თანატოლთან ერთად, რომლებიც ასევე სტუდენტები არიან გალის რაიონიდან. პროგრამა სრულად დააფინანსა „საქართველოს რეფორმების ასოციაციამ“. ახლა, მარიამი სასტუმროში ცხოვრობს, არ იხდის სწავლის გადასახადს, დანარჩენისთვის კი სტიპენდია ჰყოფნის. ტალინში პირველად ჩასული მარიამი გაოცდა როცა აღმოაჩინა, რომ საღამოს 8 საათის შემდეგ ყველაფერი იკეტებოდა, სურსათის მაღაზიების და აფთიაქების ჩათვლით. მხოლოდ ღამის კლუბები და ბარები დახვდა ღია. არასოდეს დამავიწყდება ესტონეთში ჩასვლის პირველი დღე. ვიყავი დაბნეული და აღელვებული, რადგან არ ვიცოდი წინ რა მელოდა და როგორ გავუმკლავდებოდი სირთულეებს მათი წარმოქმნის შემთხვევაში. ესტონეთმა ძალიან თბილად მიმიღო. შევეჩვიე მარტო ცხოვრებას და ყოველდღიურ გამოწვევებთან გამკლავებაც ვისწავლე. მარიამ ქობალია: „მე, სტანდარტული თვალსაზრისით გართობით დიდად არ გამოვირჩევი. აქ, ბევრს ვსეირნობ, თავიდან ძალიან ბევრ ადგილას დავიკარგე, მაგრამ შემდეგ მარტივად შევეგუე გარემოს. მიყვარს ფილმების ყურება და ხშირად დავდივარ კინოში. მაინტერესებს ერთი მუზეუმი – Vabamu Museum of Occupations და საქართველოში გამომგზავრებამდე აუცილებლად მოვინახულებ ჩვენი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების დროს. 3 თვეა რაც აქ ვიმყოფები და სტიპენდიიდან თანხის ნაწილით უკვე ვიმოგზაურე სტოკჰოლმში, სადაც ფრენა ორივე მიმართულებით 60 ევრო დამიჯდა, ხოლო მილანში – 80 ევრო. ჩემი რუმმეითი მალე პარიზში გაფრინდება და სამგზავრო ბილეთებში სულ 50 ევრო გადაიხადა. მე კი ნოემბრის ბოლოს ჰელსინკში გამგზავრებას ვგეგმავ, ასევე ძალიან იაფად. ადრე, მოგზაურობის ასეთი შესაძლებლობა არასდროს მქონია და ახლა ბედნიერი ვარ, რომ ამ ყველაფრის ნაწილი გავხდი“. მარიამმა უცხოეთში ყოფნის დროს აღმოაჩინა, რომ მისი ახალი ნაცნობების ნაწილი თბილისსა და ბათუმში იყვნენ ნამყოფი, საქართველოზე ბევრი რამ იცოდნენ და აინტერესებდათ. მარიამ ქობალია: „ მე, რაკი გალის რაიონში ვცხოვრობდი, მათ აინტერესებდათ ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენები, რიგითი ადამიანების ცხოვრების წესი და პოლიტიკური ვითარება. სხვათაშორის, ერთმა ესტონელმა ახსენა, რომ საქართველოში საგზაო მოძრაობა ძალიან მოუწესრიგებელიაო. სხვა მხრივ კი მოეწონათ ძველი თბილისი, ბათუმის სანაპირო, აღფრთოვანებული იყვნენ ქართული სამზარეულოთი და აინტერესებდათ ისტორია“. ხმაურიან თბილისში ცხოვრებას მიჩვეული მარიამისთვის, ყველაზე უჩვეულო ესტონეთის სიმშვიდე აღმოჩნდა. მარიამ ქობალია: „ალბათ, ერთადერთი, რაც აქ არ მომწონს, ზედმეტი სიმშვიდე და რუტინაა. ყოველდღიურობა ესტონეთში საკმაოდ მშვიდია. ადამიანები ერთი შეხედვით ცივები, მაგრამ მეგობრულები არიან. ქუჩაში დღის ნებისმიერ მონაკვეთში უსაფრთხოა. სწავლის პირველივე დღეს, პოლიციის თანამშრომლებმა სესია ჩაგვიტარეს, სადაც ამ ყველაფერზე გვესაუბრნენ. პოლიციელები ზრუნავენ ქალაქის სიმშვიდეზე და მზად არიან ნებისიერ დროს დაგვეხმარონ. აქაურობა საკმაოდ უსაფრთხოა. საგზაო მოძრაობაც დალაგებულია. მეტწილად მშვიდი მძღოლები არიან. თავდაპირველად შოკი მქონდა, როდესაც გადასასვლელებზე გზას უპრობლემოდ და ნებისმიერ სიტუაციაში გვითმობდნენ, საქალაქთაშორისო ავტობუსშიც კი ღვედის შეკვრა გვიწევს, მიუხედავად იმისა წინ ზიხარ თუ უკან. ფოტო: ესტონეთი, ქალაქი სილამიაე, რომლის სანაპიროზე მარიამს განმარტოება, კითხვა და წერა მოსწონს. მარიამ ქობალია: „ესტონეთში სასაუბროდ ორივე ენას – ინგლისურსა და რუსულს თითქმის თანაბრად იყენებენ. ზოგ რეგიონში, საშუალო ასაკის ადამიანები ინგლისურს ნაკლებად ფლობენ, ამიტომ მათთან კომუნიკაცია რუსულად მიწევს“. მარიამს ესტონეთში სწავლა არ უჭირს. ინგლისური ენის ცოდნა საგრძნობლად გაიუმჯობესა და აპირებს გამოიყენოს ჟურნალისტიკაში. მარიამ ქობალია: „სწავლა არ მიჭირს, რადგან დროები კარგადაა გადანაწილებული და მეც ვინდომებ, რომ კონკრეტული საგნების დედლაინებში სწორად ჩავეტიო. დამოუკიდებელი სამუშაო ბევრად მეტია, ვიდრე აუდიტორიაში. ბევრი ტესტი და სემინარია. რაც ესტონეთში ვარ, პირველ რიგში საკუთარ თავში აღმოვაჩინე, რომ ამდენი რამის გაკეთება მარტოს შემძლებია. წლების წინ ამას ვერანაირად გავბედავდი, დიდ შიშთან იყო ამხელა ნაბიჯი ასოცირებული და რადგან გადავლახე ეს შიში, გამოდის, რომ გაბედულებაც აღმომაჩნდა, თავდაჯერებულობაც მომემატა და ბევრ საკითხსაც სხვანაირად ვუყურებ“. მშვიდ ესტონეთში ყოფნისას, მარიამს, ცოტა მოენატრა საქართველოს ქაოტურ გარემოში ყოფნა, მისი ოჯახი და მეგობრები, რომელთა გარეშე ყველაზე მეტად გაუჭირდა უცხო ქვეყანაში გამგზავრება. მარიამი, დეკემბერში ასრულებს გაცვლითი პროგრამით სწავლას და საქართველოში დაბრუნების შემდეგ ახალი გეგმების განხორციელებას უკვე სხვა შემართებით, უფრო გაბედული და თავდაჯერებული აპირებს.

# ინტერვიუ პედაგოგ კახა გალდავასთან



ორი წელია მუშაობთ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო დანერგვის ექსპერტად, ისტორიის მიმართულებით და მოგვიყევით ამ გამოცდილების და სამუშაოს სპეციფიკის შესახებ.

- აქტიურად ვარ ჩართული ქოუჩინგის პროცესში. ვითანამშრომლე 32 სკოლის 52 ისტორიის მასწავლებელთან და შევადგინეთ ინდივიდუალურად სასკოლო კურიკულუმები. რა თქმა უნდა აქტიურად მივიღე მონაწილეობა მათი დანერგვის ეტაპზე და მათი საგაკვეთილო პროცესში ჩართულობით ერთად ვაფასებდით მიღწეულ შედეგს. ასევე მონაწილეობა მივიღე სასკოლო კურიკულუმის შედგენაშიც. მე და ჩემმა კოლეგა ბექა კვაჭაძემ შევადგინეთ თემატური მატრიცა “გვიანი შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო” რომელიც საქართველოს ყველა სკოლაში სასკოლო კურიკულუმის ნაწილი გახდა. გარდა ჩართული სკოლებისა, არაჩართული სკოლებისთვის განვახორციელე პროექტი “იყავი ჩემი მასწავლებელი ერთი დღით” სხვადასხვა სკოლებში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩავდიოდი და ვატარებდი გაკვეთილს ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით და ასე ვეხმარებოდი მასწავლებლებს დაეგეგმათ და დაენერგათ სასკოლო კურიკულუმი თავიანთ სკოლებში.

– როგორ მოხდა თქვენი წარდგენა “მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე”?

– მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე პირველმა გამარჯვებულმა ლადო აფხაზავამ წარმადგინა. თავიდან არ მინდოდა აპლიკაციის შევსება, მაგრამ ჩემმა დირექტორმა ქალბატონმა ხათუნა ფაილაძემ და დირექტორის მოადგილე ქალბატონმა ციური ხურცილავამ არ მომცეს გასაქანი და ალპიკაციაც შევავსე. ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, რომ ქვეყანაში ძალიან ბევრი კარგი მასწავლებელია, რომელიც უნდა გამოჩნდეს.

– მიზეზი რა იყო რის გამოც არ გინდოდათ აპლიკაციის შევსება?

– ვფიქრობ, რომ მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე ღვაწლმოსილი მასწავლებლები უნდა წარადგინონ. მასწავლებლები, რომლებმაც მთელი სიცოცხლე მოსწავლეთა პიროვნულ და ინტელექტუალურ განვითარებას შეალიეს. მასწავლებლები, რომლებიც სამეცნიერო საქმიანობას ემსახურებიან და უკვე თქვეს თავიანთი სიტყვა ერის და თაობების წინაშე. რა თქმა უნდა მივესალმები ახალგაზრდების წახალისებას, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ მასწავლებელს მაღალი სტანდარტები სჭირდება. მიუხედავად იმისა 15 წელია სკოლაში ვარ და ჩემ საქმეს კარგად ვემსახურები, მაინც მქონდა გულწრფელი თავმდაბლობის მომენტი და არა მოჩვენებითი თავის დაფასების.

– რას უკავშირებთ თქვენს წარმატებას?

– ამაზე მოკლედ და მარტივად გიპასუხებთ – მოსწავლეების სიყვარულს, საქმისადმი თავდადებას და მიღწეულ შედეგებს, რომელსაც ყოველ წელს ჩემი მოსწავლეები აჩვენებენ.

# IBSU-მ აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა




შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ტრადიციული, აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაში, 7 ქვეყნის 100-ზე მეტმა მეცნიერმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენციის ფარგლებში მუშაობდა 11 სექცია, მათ შორის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური მეცნიერების, სამართლის, ბიზნესის, ტექნოლოგიების, სადაც მოისმინეს მკვევარების მოხსენებები და გაიმართა საინტერესო დისკუსიები. კონფერენციის მონაწილეებს გახსნის ცერემონიალზე მიესალმნენ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი, დოქტორი, საფფეთ ბაირაქთუთანი, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე გოგა ბუჩაშვილი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო თავმჯდომარე და კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი, კახა შენგელია, ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი, გოჩა თუთბერიძე, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ანა ფირცხალაშვილი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი თეა კორძაძე და ნიტრას (სლოვაკეთი) ფილოსოფიის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ინსტიტუტის წარმომადგენელი მილან ფილა.

როგორც IBSU-ს რექტორმა, საფფეთ ბაირაქთუთანმა განაცხადა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი მოხარულია ტრადიციულად უმასპინძლოს სამეცნიერო წრეებში უკვე ძალიან პრესტიჟულ საერთაშორისო კონფერენციას. კონფერენციისმთავარმამომხსენებელმა მარკუს ვინისიუს დე ფერიტასმა, წარადგინა მოხსენება თემაზე, “პანდემია და ომები: წყალგამყოფები საერთაშორისო ურთიერთობებში”.

მარკუს ვინისიუს დე ფერიტასი, ჩინეთის საგარეო საქმეთა უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების მიწვეული პროფესორია. აბრეშუმის გზის მე-17 საერთაშორისო კონფერენცია ავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება.



# უკრაინის ბრძოლა თავისუფლებისთვის

მახო ზავრაშვილი

“მაშინ, როცა თავისუფალი სამყარო ფიქრობს, რუსული - ტერორისტული სახელმწიფო ომს კვლას განაგრძობს. “ - ვოლოდიმირ ზელენსკი.

რუსეთი კვლავ უშედეგოდ უტევს დონეცკის ოლქის ქალაქ ბახმუტს. ოკუპანტების ომი ბახმუტისთვის, ნაქალაქარად ქცეული ქალაქისთვის, წარუმატებელია.

## ზამთარმა ომი გაყინა - ოკუპანტები ვერც ერთ ფრონტზე წინ ველარ მიიწევენ.

ხმელეთზე წარუმატებელი ბრძოლით გაღიზიანებული რუსები ისევ რაკეტებს ისვრიან. სამიზნე კვლავ მშვიდობიანი მოსახლეობაა. ხერსონი, ზაპოროჟიე, დონეცკი და ლუჰანსკი - კვლავ რუსეთის მთავარი სამიზნეა. ოთხივე ოლქში ოკუპანტების ჯარები დგანან.

ომის მე-11 თვის თავზე უკრაინა პარტნიორებისგან იმაზე მეტ სამხედრო დახმარებას იღებს, ვიდრე ეს მანამდე იყო. ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირის წევრი 27 ქვეყანა უკრაინის სამხედრო დამხარების მთავარ წყაროებად რჩებიან.

“პარიზში და ბერლინში მიხვდნენ, რომ უკრაინის დამარცხებით საფრთხე მათთვისაც რეალურია, ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ამ გმირი ხალხისთვის“ - ლოიდ ოსტინი (აშშ-ის თავდაცვის მდივანი)



## 2022 წლის 24 თებერვალი - თარიღი, რომელიც მსოფლიო ისტორიას დარჩება

დილის 4 საათი - პუტინი აცხადებს სპეციალურ სამხედრო ოპერაციას დონბასში, უკრაინის დემილიტარიზაციისა და დ ე ნ ა ც ი ფ ი კ ა ც ი ი ს თ ვ ი ს .

დილის 5 საათი - რუსეთი სრულმასშტაბიან შესვლას იწყებს ჩრდილოეთიდან - კიევისკენ, აღმოსავლეთიდან - ხარკოვისკენ და სამხრეთიდან ხერსონისკენ. პუტინის “სპეციალური ოპერაცია“ პირველივე საათებში, ომია.

ომი, რომელმაც მსოფლიო გეოპოლიტიკა სრულად ამოაყირავა მოულოდნელი იყო ყველასთვის, განსაკუთრებით უკრაინელებისთვის. 11 თვეში საკუთარი სახლი 15 მილიონზე მეტმა უკრაინელმა დატოვა. ისინი მეგობარ ქვეყნებში ლტოლვილები გახდნენ. ომის დაწყებიდან მალევე, უკრაინელები ჩამოვიდნენ თბილისშიც, ახალი ცხოვრების დასაწყებად, მძიმე გზისა და დროის დასავიწყებლად და იმედის შესანარჩუნებლად, იმედის, რომელიც თავისუფალ უკრაინაში, საკუთარ სახლებში დაბრუნებაა.

10 თვიან ომში უკრაინა რუსეთს შორის მოლაპარაკებების პროცესი ორ სხვადასხვა ქვეყანაში გაიმართა. ომის დაწყებიდან მესამე დღეს პრეზიდენტმა ზელენსკიმ თქვა, რომ ორი ქვეყნის დელეგაციები ერთმანეთს ბელორუსის ტერიტორიაზე შეხვდებოდნენ - აქ სამი შეხვედრა შედგა, თუმცა შედეგი ვერცერთ შემთხვევაში ვერ დადგა - რუსეთი ყველა ჯერზე უარს აცხადებდა უკრაინის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანაზე.

10 მარტს ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთისა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრები. ორი ქვეყნის პირველი დიპლომატების შეხვედრა თურქეთში, ქალაქ ანტალიაში შედგა. კულება-ლავროვს შორის გამართული შეხვედრა, რომელსაც თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ესწრებოდა უშედეგოდ დასრულდა. რუსული მხარე 24 საათით ცეცხლის შეწყვეტას და უკრაინის ალყაშემორტყმული ქალაქების გარშემო ჰუმანიტარული კორიდორების შექმნასაც კი არ დათანხმდა.

“საუბარი იყო როგორც მარტივი, ასევე რთული. მარტივი იმიტომ, რომ მინისტრი ლავროვი მიყვებოდა თავის ტრადიციულ ნარატივს უკრაინასთან დაკავშირებით. ჩვენ პროგრესს ვერ მივაღწიეთ, რადგან, როგორც ჩანს, რუსეთში სხვები იღებენ გადაწყვეტილებებს,“ - დმიტრო კულება (უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი)

შეხვედრის მეორე რაუნდი მარტის ბოლოს თურქეთში შედგა. პრეზიდენტ ერდოღანის ჩართულობით მხარეები სტამბულში დოლმაბაჰჩეს სასახლეში შეიკრიბნენ, რამდენიმე დღიანი მოლაპარაკების პროცესი ამ შემთხვევაშიც უშედეგოდ დასრულდა - რუსეთი პოზიციებს ისევ არ ცვლიდა, უკრაინა კი ტერიტორიების დათმობას.

## რუსეთის სამხედრო დანაშაულები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა

ბუჩა - ქალაქი უკრაინის დედაქალაქის ოლქში. რუსული ჯარის გასვლის შემდეგ ქალაქის დასახლებებში ასობით ადამიანის ცხედარი იპოვეს, მშვიდობიანი უკრაინელების ცხედრები ქუჩებში იყო მიმოფანტული, ზოგიერთ მათგანს ხელები შეკრული ჰქონდა. მასობრივმა საფლავებმა, ნაწამები და მოკლული ადამიანების ცხედრებმა მსოფლიო შეძრა. “ბუჩაში ჩვენი კაცობრიობა გათელეს. ჩემი გზავნილი უკრაინელი ხალხისადმი არის ის, რომ დამნაშავეები



პასუხს აგებენ მთელი სიმკაცრით. თქვენი ბრძოლა ჩვენი ბრძოლაა. დღეს მე ვარ აქ, რათა გითხრათ, რომ ევროპა თქვენს მხარესაა,“ - ურსულა ფონ დერ ლეიენი (ევროკომისიის პრეზიდენტი)

მარიუპოლის სამშობიარო სახლი - რუსებმა რამდენიმე სარაკეტო იერიშით გაანადგურეს. რაკეტები ოკუპანტების ჯარებმა იმ ფანჯრებში შეყარეს, სადაც ათობით უკრაინელი ქალი და ბავშვი იმყოფებოდა, რუსულ ამ იერიშს რამდენიმე ადამიანის, მათ შორის ჯერ არ დაბადებული ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.



მარიუპოლის დრამატული თეატრი - მტრის ავიაციამ მარიუპოლის დრამატული თეატრიც დაბომა. ოკუპანტებისთვის არც მათ ენაზე დაწერილი “ბავშვები“ ქცეულა დაბრკოლებად, რუსებმა რამდენიმე ბომბით თავშესაფრად ქცეულ დრამატულ თეატრში ათასობით მშვიდობიანი მოკლეს



- მოკლულებს შორის უმეტესობა ბავშვები და ქალები იყვნენ.

აზოვსტალის ქარხანა - 83 დღიანი გმირობა, რომელმაც მთელი მსოფლიო აალაპარაკა. ქარხნის ბუნკერები მიწასთან გასწორებულ ქალაქში გადარჩენილების მთავარი თავშესაფარი გახდა. ყველა რესურსის ამოწურვამდე, აზოვის პოლკის მეომრები ქალაქს იცავდნენ. რუსეთმა კონვენციით აკრძალული იარაღი, მათ შორის ფოსფორის ბომბებიც კი გამოიყენა.

“ვალდებულები ვართ გავერთიანდეთ და დავამარცხოთ ბოროტება, რომელიც ყველაფერ ცოცხალს ანადგურებს, ის, ვინც სინათლეს სიბნელეში ცვლის. - სვიატოსლავ პალამარი (“აზოვის” პოლკის მეთაურის მოადგილე)

უკრაინელების ბრძოლამ თავისუფლებისთვის ბევრი რამ ჯერ კიდევ ომის დაწყებიდან მალევე შეცვალა. მშვიდობიან მოსახლეობაზე რუსეთის იერიშებმა აშშ-ის პრეზიდენტს ხელი “ლენდ-ლიზზე“ მოაწერინა, ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად მოხდა.

ევროკავშირის 9 სასანქციო პაკეტი და მთავარი მიზანი - რუსეთის ფინანსური გაღარიბება, ესეც უკრაინის ბრძოლის შედეგია.

დასავლეთის ძლიერი პოლიტიკური ნაბიჯები უპასუხოდ არც პუტინს დაუტოვებია,. რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინის დონეცკის, ლუჰანსკის, ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებში “რეფერენდუმები“ ჩაატარა და ყველა ეს ტერიტორია დაიკანონა - რეფერენდუმის შედეგების პუტინის გარდა არავის სჯეროდა.

კრემლში სიხარული დროებითი აღმოჩნდა. რუსულ ჯარს ის არ ეყოფოდა, რომ ომის დაწყებიდან ერთი თვის თავზე კიევის, შემდეგ კი ხარკოვის ოლქი დაატოვებინეს, რომ ფარსი რეფერენდუმით მიერთებული ხერსონის დატოვებაც მალე მოუწიათ - ეს კი მას შემდეგ, რაც უკრაინამ ნატოსა და ევროკავშირის ქვეყნების შეიარაღებით სამხრეთის ფრონტზე ძლიერი კონტრშეტევა დაიწყო. პუტინის გადაწყვეტილებამაც არ დააყოვნა - ოკუპანტი ქვეყნის მეთაურმა მალევე ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა და 300 000-ე მეტი რუსი ფრონტზე გაიწვია.

## რუსეთი ტერორისტული სახელმწიფოა! - პუტინის ენერგობლოკადა უკრაინას

ომის 9 თვის თავზე, როცა თავისუფალ კიევში პირველი თოვლი მოვიდა და უკრაინაში ტემპერატურა 0 გრადუსს ჩამოცდა რუსეთმა მეზობელ ქვეყანას ენერგობლოკადა მოუწყო. ყოველდღიური სარაკეტო იერიშების სამიზნე უკრაინის ელექტრო და თბოელექტრო სადგურები გახდა. პუტინმა ცივ ზამთარში მშვიდობიანი მოსახლეობა დენის, წყლისა და გათბობის გარეშე დატოვა. ჩაბნელებული კიევი და გაყინული უკრაინელები მსოფლიოს ახალი ისტრიის წერას აგრძელებენ. ახლა, როცა ომის ერთი წლის თავამდე სულ რამდენიმე კვირაა დარჩენილი, რუსეთი ისევ ისე ისვრის რაკეტებს, როგორც მაშინ, როცა ომის დაწყების ერთი საათი სრულდებოდა. პუტინის სამიზნე ისევ მშვიდობიანი უკრაინელები არიან, მაგრამ მაინც - უკრაინა არც გატყდება და არც დამარცხდება - ყველა ეს სიგნალი გაყინული ხალხის ბრძოლიდან და ჩაბნელებული ქალაქების ხმებიდან ისმის.

## მსოფლიოს პასუხი რუსეთს

ნატოს საპარლამენტო ანსაბლეამ, ევროპარლამენტმა, პოლონეთისა და ლიეტუვის სეიმებმა, ასევე ესტონეთის, ჩეხეთისა ლატვიის პარლამენტებმა პუტინის რუსეთი ტეორირისტულად აღიარეს. ოკუპანტი 93 ქვეყნის თანხმობით გაირიცხა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოდან.

“თქვენ უნდა დაეთანხმოთ რუსეთის გარიცხვას, თუ გსურთ რომ გადაარჩინოთ გაერო, ადამიანების სიცოცხლე მსოფლიოში და გადაარჩინოთ უკრაინელები. გარიცხვაზე ხმის არ მიცემა ნიშნავს აგრესორის მხარეს დგომას და მათი იარაღით ბრძოლას,“ - სერგეი კისლიცა (გაეროში უკრაინის ელჩი)

უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ევროპაში სამხედრო კოფლიქტის გაჩენის საფრთხე გაჩნდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც. სერბეთ-კოსოვოს შორის ვითარება ამ დრომდე დაძაბულია. კოსოვო, რომლის უკან ნატო და ევროკავშირი დგას მეზობელ სერბეთს რუსული პროვოკაციებით კოფლიქტის პროვოცირებაში ადანაშაულებს. სერბეთი დღეს, უკვე ღიად ამბობს, რომ დასალეთმა უკრაინის გვერდში დგომა უნდა გააძლიეროს. ოფიციალური ბელგრადი ამ განცხადებებით, ოფიციალურ პრიშტინას ბრალდებების გადაფარვას ცდილობს და კოსოვოს ტერიტორიას კვლავ თავის ისტორიულ მიწად მიიჩნევს.

ევროპის შუაგულში მიმდინარე ომი და ამერიკის გავლენა გახდა მიზეზი ჩინეთის გადაწყვეტილების ცვლილებისა. ოფიციალურმა პეკინმა ტაივანის დაპყრობა ისევ გადაიფიქრა.

მძიმე ვითარებაა კავკასიის რეგიონშიც, მთიანი ყარაბაღის 2021 წელს დადებული ზავი სამხრეთ კავკასიის ორ ქვეყანას შორის მთავარი პრინციპებით მუდმივად სრულდება , თუმცა, ქვეყნების საზღვარზე პროვოკაციებში ერთმანეთის მუდმივი დადანაშაულებით არაერთხელ მოხდა სიტუაციის დაძაბვა. დაპირისპირებაში ისევ დისტანციურად ჩაერია კრემლი, რომელმაც სომხეთს სამხედრო დახმარებაზე და კონფლიქტში პირდაპირ ჩარევაზე უარი უთხრა. ეს მაშინ, როცა სომხეთი კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციის წევრია. - ერთზე თავდასხმა, ნიშავს ყველაზე - თუმცა რუსეთმა მოკავშირეც გაწირა. რუსეთის მიერ მორიგ ჯერზე იმედგაცრუებული სომხები ისევ ქუჩებში გამოვიდნენ. 2022 წელს კავკასიაში რუსეთის გავლენები კიდევ უფრო შესუსტდა. ამ ყველაფერ ლაჩინის დერეფნის ბოლკადაც დაემატა. სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის ერთადერთი მაკავშირებელი გზა – ლაჩინის დერეფანი – ამ დრომდე ბლოკირებულია, რადგან აზერბაიჯანელი გარემოსდამცველების ჯგუფმა ქალაქ შუშასთან ყარაბაღში წიაღისეულის “უკანონო მოპოვება” და სომხეთში გატანა გააპროტესტა. სომხეთის ხელისუფლებამ ბლოკადა დაუკავშირა აზერბაიჯანის სურვილს, გააფართოოს კონტროლი რეგიონზე. რუსულ სამშვიდობო ძალებისგან კი სომხეთი ბლოკადის გარღვევას მოითხოვს. ნიკოლ ფაშინიანმა ლაჩინის დერეფნის გარშემო აზერბაიჯანის ქმედებებსუკანონოუწოდა. მისითქმით, რუსეთის ფედერაცია, ფაქტობრივად, არ ასრულებს სამმხრივი შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს. ფაშინიანმა რუსეთს შეახსენა, რომ ლაჩინის დერეფანი რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტროლქვეშ უნდა იყოს, ხოლო აზერბაიჯანის რესპუბლიკამ უნდა უზრუნველყოს ამ გზით მოქალაქეებისა და ტვირთის გადაადგილების უსაფრთხოება.

“რუსეთის ფედერაციის სამხედროების ყოფნა არამარტო არ უზრუნველყოფს სომხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოებას, არამედ საფრთხეს უქმნის მას” - ნიკოლ ფაშინიანი (სომხეთის პრემიერ-მინისტრი)



რუსეთის არაპროვოცირებულმა შეჭრამ უკრაინაში ნატოს გაფართოება მოიტანა. ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში წევრობის გადაწყვეტილება ჯერ ფინეთმა შემდეგ კი შვედეთმა მიიღო. ნატოში დაჩქარებული წესით გაწევრიანების განცხადი გააკეთა უკრაინამაც. ოფიციალური ჰელსინკი და სტოქჰოლმი ახლა ძალიან ახლოს არიან იმასთან, რომ ძლიერი სამხედრო ალიანსის 31-ე და 32-ე წევრი სახელმწიფოები გახდნენ.

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ევროპულ კავშირშიც. გასულ წელს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღეს უკრაინამ, მოლდოვამ და ბოსნია ჰერცოგოვინამ. წევრობის კანდიდატის სტატუსი ევროკავშირამდე მისასვლელ გზაზე პირველი ეტაპია.

გაგრძელება გვ.6

# IBSU-ს სამეცნიერო ჟურნალმა მაღალი სამეცნიერო ინდექსი მოიპოვა




შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალმა“ მაღალი სამეცნიერო ინდექსი -Impact Factor Value of 2.357, მოიპოვა. მაღალი სამეცნიერო ინდექსი უნივერსიტეტის ჟურნალს ISI-მა (International Scientific Indexing) მიანიჭა, რომელიც მსგავს ინდექსს მნიშვნელოვან საერთაშორისო ჟურნალებსა და საკონფერენციო კრებულებს ანიჭებს. Journal in Humanities-ის რედაქტორის, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, პროფ. დოქტ. თამარ შიოშვილის შეფასებით, ეს ჟურნალის დიდი წარმატებაა, რაც მის მაღალ სამეცნიერო ხარისხზე მიუთითებს. „ISI-ს მიზანია, გააუმჯობესოს ცნობადობა და ღია წვდომა სამეცნიერო ჟურნალებზე და გაზარდოს მათი მნიშვნელობა. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ გაიზრდება ჩვენი ჟურნალის ცნობადობა და ხელმისაწვდომობა“,- განაცხადა თამარ შიოშვილმა. ინგლისურენოვანი სამეცნიერო ჟურნალი Journal in Humanities შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2012 წლიდან, წელიწადში ორჯერ გამოიცემა. ჟურნალში სტატიებს ბეჭდავენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერები. ჟურნალის მიზანია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში წვლილის წახალისება. მკვლევარებს წარმოდგენილი აქვთ ისეთი თემები, როგორებიცაა: ამერიკული ლიტერატურა, ამერიკული კულტურა და მულტიკულტურული კვლევები, ამერიკელი ქალების ისტორია, გენდერული კვლევები, ამერიკის ისტორია, ფსიქოლოგია, ენა, ფილოსოფია, გეოგრაფია, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხოების საკითხები, სოციალური და ეკონომიკური საკითხები, პოლიტიკა და სხვა დარგები ამ სფეროში.

# უკრაინის ბრძოლა თავისუფლებისთვის

მახო ზავრაშვილი

## ირანელი ქალების ბრძოლა თავისუფლებისთვის




მაჰსა ამინი, 22 წლის გოგონა ირანიდან. ქალი, რომელიც ირანის “მორალის პოლიციამ“ სასიკვდილოდ ჰიჯაბის არასწორი ტარების გამო გაიმეტა. ირანში დიდი არეულობა დაიწყო .“შეუსაბამო ჩაცმულობის“ გამო მოკლული ქალის პროვინციიდან დაწყებული პროტესტი ქვეყნის 80 ქალაქსა და დასახლებაში გავრცელდა. აქციებზე ირანელები მწვავედ დაუპირისპირდნენ ისლამური რესპუბლიკის მკაცრ ნორმებსა და რიგ სოციალურ თუ პოლიტიკურ რეპრესიებს. პროტესტის დაწყებიდან მალევე, ვიდრე ირანის ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს ინტერნეტზე წვდომის უფლებას წაართმევდა, სოციალური ქსელები ქალების ვიდეო რგოლებმა მოიცვა. თეირანში, იაზდში, თავრიზში და სხვა ქალაქებში ირანელი ქალები იხდიან და წვავენ თავსაბურავებს - იქვე არიან კაცებიც, რომლებიც ამ პროტესტს ტაშითა და მხარდამჭერი შეძახილებით ხვდებიან. ირანის ხელისუფლებამ პროტესტს ძალა დაუპირისპირა. ირანის უსაფრთხოების ძალებმა აქციების დარბევა დაიწყეს, დემონტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს და ბევრიც სიკვდილით დასაჯეს. არაოფიცალურად ირანში მიმდინარე პროტესს 500-ზე მეტი ადამიანი შეეწირა, მათგან ყველაზე მეტი ახალგაზრდა ქალია. პერმანენტულმა პროტესტმა ხელისუფლება აიძულა “ზნეობის პოლიცია“ გაეუქმებუნა. აქციებით გამორჩეული იყო შრი-ლანკაც. 1948 წლის შემდეგ პირველად გაუსაძლისმა ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ ხალხი ქუჩაში გამოიყვანა. რამდენიმე დღიანი უწყვეტი პროტესტი შრილანკას ახლად არჩეული პრეზიდენტის გოტაბაია რაჯაპაქსას მალდივებზე გაქცევით და დემონსტრანტების მიერ მისი საპრეზიდენტო რეზიდენციის დაკავებით დასრულდა. დემონსტრანტები პრეზიდენტის ლოგინში, აბაზანაში, საცურაო აუზში - ყველაფერი რაც პრეზიდენტ რაჯაპაქსას ეკუთვნოდა რამდენიმე საათში მსოფლიომ აქციის მონაწილეების მეშვეობით იხილა. შრილანკაში დროებითი მრავალპარტიული მთავრობა დაინიშნა, რასაც შემდეგ ვადამდელი არჩევნები მოყვა. რუსული გავლენებისგან გათავისუფლება დაიწყო ყაზახეთმაც. ეს ყველაფერი კი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ქალაქ ალმატში ხალხი ქუჩაში გამოვიდა, პროტესტის მიზეზი ხელისუფლების მიერ თხევად ბუნებრივ აირზე ფასის გაზრდა გახდა. ამავე აქციებზე, ყაზახებმა ყოფილი პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარაბევის გავლენებისგან ქვეყნის გათავისუფლება მოითხოვეს, მათ ჯერ პუტინის მეგობრის და მოკავშირის ძეგლი ჩამოაგდეს, შემდეგ კი ახალი პრეზიდენტი, ტოკაევი ევროკავშირში ჩაიყვანეს. ყაზახეთმა ევროპასთან დაახლოება დაიწყო. ცენტრალური აზიაში მდებარე სახელმწიფო, რომელიც ერთ დროს პუტინის რუსეთის დიდი პარტნიორი იყო - ევროპის ქვეყნების მთავარი მოკავშირე გახდა. ყაზახეთმა გადაწყვიტა, რუსული ბუნებრივი აირისა და დენის გარეშე მყოფ ევროპელებს, საკუთარი რესურსები გაუზიაროს. მანამდე, ქვეყნის პრეზიდენტი იყო პირველი, რომელმაც პუტინს პირდაპირ უთხრა, რომ მის მიერ აღიარებული ეგრეთწოდებული დონეცკის, ლუჰანსკისა და აფხაზეთის რესპუბლიკები არ არსებობს. ეს ყველაფერი კი სანქტ-პეტერბურგში, რუსეთის სიდიდით მეორე ქალაქში მოხდა. “გაერო-ს წესდების ორი ძირითადი პრინციპი – ერთა თვითგამორკვევის უფლება და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა – ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოვიდა. დათვლილია, რომ თუკი ერთა თვითგამორკვევის უფლება მთელს მსოფლიოში იქნება რეალიზებული, საბოლოოდ 193-ის ნაცვლად 500-600 სახელმწიფოზე მეტს მივიღებთ და გვექნება ქაოსი. ამდენად, ჩვენ არ ვაღიარებთ არც ტაივანს, არც კოსოვოს, არც სამხრეთ ოსეთს და არც აფხაზეთს. იგივე პრინციპით ვიმოქმედებთ იმ კვაზისახელმწიფოების მიმართაც, როგორადაც ლუჰანსკი და დონეცკი მიგვაჩნია,“ - ყასიმ-ჟომართ ტოკაევი (ყაზახეთის პრეზიდენტი) ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა პროფესორმა აზერ დილანჩიევმა, რომლის

# სამეცნიერო სიახლეები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში

თანაავტორობით საერთაშორისო მნიშვნელობის Scopus Q1-მა გამოსცა სტატია, ჩაატარა ვორქშოფი „მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომის მომზადება და გამოქვეყნება ინდექსირებად ჟურნალებში“. ვორქშოფი ჩატარდა IBSU-ს აკადემიური პერსონალისთვის და მიზნად ისახავდა გამოცდილების გაზიარებას სამეცნიერო ინდექსირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვიცე რექტორის სასწავლო და სამეცნიერო დარგში, პროფ.



დოქტ. თეა კბილცეცხლაშვილის შეფასებით, ამგვარი აქტივობა მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების გაძლიერებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის. „სამეცნიერო სიახლეების არსებობა უნივერსიტეტებში ძალიან მნიშვნელოვანია, მსგავსი ღონისძიებები ტრადიციად იქცა და ეს ახალგაზრდებში მეცნიერებისადმი ინტერესს და კრეატიულობის მეტ მოტივაციას აღძრავს.” - თეა კბილცეცხლაშვილი.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ხნის წინ საერთაშორისო მნიშვნელობის Scopus Q1-მა პროფესორ აზერ დილანჩიევის თანაავტორობით გამოსცა სტატია, რაც ძალზე მნიშვნელოვანია როგორც პროფესორის, ასევე უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისთვის. თეა კბილცეცხლაშვილის თმით, სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით უნივერსიტეტში სისტემატურად ტარდება საერთაშორისო კონფერენციები, სადაც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები. უნივერსიტეტი ყოველწლიურად მასპინძლობს აბრეშუმის გზის საერთაშორისო კონფერენციას, სადაც წელს მონაწილეობა მიიღო 20 ქვეყნის მონაწილემ. „2019 წლიდან დღემდე უნივერსიტეტი 12 უნივერსიტეტთან ჩართულია პროექტში HERD- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიეროკვლევის ხელშეწყობა, სადაც შეიქმნა ქართველი მეცნიერების ერთობლივი პლატფორმა’’ ქართველი მეცნიერების საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე პოპულარიზაციას და მათი სამეცნიერო ნაშრომების ხილვადობის გაზრდას ემსახურება ახალი სამეცნიერო პლატფორმა VIDATIUM, რომელიც ERASMUS+ -ის მიერ დაფინანსებული პროექტის HERD – „საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეცნიერო კვლევების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში შეიქმნა. პორტალი საქართველოში აკადემიური დაწესებულებების საქმიანობის, ადამიანური რესურსების და ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაციას გააერთიანებს. მისი მიზანია ადგილობრივ და მსოფლიო ასპარეზზე ქართველი მეცნიერების პოპულარიზაცია. პლატფორმა აერთიანებს 12 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის პირად პროფილს, სადაც წარმოდგენილი იქნება მათ მიერ გაწეული სამეცნიერო საქმიანობის შედეგები. „პროექტი ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა წევრი უნიევრსიტეტების კვლევითი სამსახურების მოდერნიზაცია, კვლევითი პოტენციალისა და ხარისხის გაზრდა, სწავლებისა და კვლევის კომპონენტების ინტეგრირება ინსტიტუციურ დონეზე. პირველ ეტაპზე პროექტის წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ დრეზდენის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში (TUD), სადაც HERD-ის წარმომადგენლებს მასპინძლობდა დრეზდენის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ევროპული პროექტების ცენტრი (EPC)“. - აღნიშნავს ვიცე-რექტორი. HERD-ის პროექტი 2022 წლის ივნისში ბათუმში, კონფერენციით დასრულდა.

# სტუდენტთა ფოტონამუშევრების გამოფენა IBSU-ს კამპუსის ეზოში















# საგანმანათლებლო სივრცე წნორში



„მაჩხაანის თეატრი ცოდნის კაფეს ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან ამ თეატრის შექმნის ისტორიამ გადაგვაწყვეტინა ცოდნის კაფის შექმნა. თავის დროზე ამ თეატრის მაშენებლების მთავარი მიზანი იყო, რომ ეს სივრცე რამოდენიმე თაობას გამოეყენებინა და ეს ინიციატივა მომავალ თაობებსაც გადასდებოდათ. დამოუკიდებელ საქართველოში ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ როგორც, ჩვენმა დიდმა ბებია-პაპებმა, ჩვენც შეგვექმნა საგანმანათლებლო სივრცე წნორში„ - განაცხადა „ცოდნის კაფეს“ დამფუძნებელმა, ნანა ბაგალიშვილმა.



მაჩხაანის თეატრი გახდა მოტივატორი, რომ შექმნილიყო „ცოდნის კაფე“: „ყოველი ფეხის წაბორძიკებაზე ყოველთვის მაჩხაანის თეატრის დამფუძნებლები გვახსენდებოდა, რადგან მათ თუ შეძლეს, ჩვენც შევძლებთ და მაინც, მჯერა, რომ ტუ სადმე არსებობს მიღმიანი სამყარო, თეატრის დამფუძნებლებს აუცილებლად შევხვდებით“. მულტიფუნქციური სოციალური საწარმო 2016 წელს, „სამოქალაქო ინიციატივის“ ფარგლებში დაფუძნდა. „ცოდნის კაფე“ - არის ერთადერთი საგანმანათლებლო სივრცე წნორში, სადაც შესაძლებელია კულტურული, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების გამართვა ნებისმიერი ასაკის წარმომადგენლისთვის. თავდაპირველად „ცოდნის კაფემ“ ახალგაზრდებისთვის დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ, რაც ფილმის საყურებლად დაპატიჟეს მოხუცი წნორელები, ყველაფერი შეიცვალა. კერძოდ, ცოდნის კაფემ შეიძინა მნიშვნელობა ხანდაზმულებისთვისაც. „ცოდნის კაფე“ გახდა მათი განტვირთვისა და თავშეყრის ადგილი. შეიქმნა უამრავი პროგრამა, მაგალითად : ლექციები და დისკუსიები, ხელსაქმის კლუბი, სამაგიდო თამაშები, კულტურული ღონისძიებები.



„ცოდნის კაფემ“ რთული გზა გაიარა განვითარების პროცესში. 2018 წელს ხალხის თანადგომითა და დონაციით ქალაქ წნორის ცენტრალურ ქუჩაზე, აღმაშენებელზე, შეიძინეს მიწა საქმიანობისთვის. 2021 წელს დაიწყეს მშენებლობაზე მუშაობა, სადაც დიდი მნიშვნელობა იქონია ისევ ხალხის დონაციამ. ფინანსური მხარე, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა „ცოდნის კაფის“ შექმნის ისტორიაში. „ძალიან ცოტა დროა იმისთვის დარჩენილი, რომ ვისაც ჯერ არ მიუღია მონაწილეობა ამ ისტორიულ პროცესში, თავისი თავი იპოვოს. ყველა მაშენებლის სახელი და გვარი, ვინც მიიღო „ცოდნის კაფეს“ მშენებლობაში მონაწილეობა, იქნება „მეგობრობის კედელზე“ აღნიშნული, ასევე გამოყოფილი იქნება აგურები, სადაც აღინიშნება მსხვილი დონორები“. ცოდნის კაფეს დამფუძნებელი აღნიშნავს სამ გზას, თუ როგორ შეიძლება დავეხმაროთ „ცოდნის კაფეს“ მშენებლობაში, პირველ რიგში, ყველაზე სწრაფი და მარტივი პროცესია - ონლაინ დონაცია. ასევე შესაძლებელი სარემონტო მასალების კონტრიბუცია და თანხის მოგროვების პროცესში მონაწილეობა.
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები იმყოფებოდნენ ქალაქ წნორში, ნანა ბაგალაშვილთან. მათ მოინახულეს „ცოდნის კაფე“, მაჩხაანის ტეატრი, გაეცნენ პროცესის მსვლელობას და საგანმანათლებლო სივრცეს ახალი წიგნები შემატეს. სოციალური საწარმოს მისია, რეგიონში კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის არსებობა,



შესრულებულია. „ცოდნის კაფემ“ შეძლო სირთულეების გადალახვა და ბევრ წარმატებასაც მიაღწია. „ცოდნის კაფე“ გახდა ერთადერთი თავისუფალი სივრცე სიღნაღის მუნიციპალიტეტში შეხვედრებისთვის, ლიტერატურული საღამოებისთვის, დისკუსიების და კინო ჩვენებებისთვის. სოციალურმა საწარმომ ბოლო 1 წლის განმავლობაში 134 კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობას უმასპინძლა, მათ შორის 2674 ბავშვს, ახალგაზრდას, ზრდასრულსა და ხანდაზმულს. „ცოდნის კაფეში“ 40-ზე მეტი ადამიანი უფასოდ სწავლობს ინგლისურ ენას. „ცოდნის კაფე“ გახდა მოტივაცია, რომ 20-ზე მეტ აქტიურ ახალგაზრდულ ჯგუფს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დაეწყოთ ცოდნის კაფეს მსგავსი სივრცეების შექმნა. აღნიშნული სივრცე 1 მაისს საგანგებოდ გაიხსნება, შესაბამისად, ნამდვილად ცოტა დროა დარჩენილი ჩვენი წვლილის შესატანად, ამ ისტორიულ პროცესში.

ნანუ მენთეშაშვილი

# გამოწვევა სტუდენტებისთვის - სამსახური უნივერსიტეტის პარალელურად



საქართველოში დასაქმება აქტუალურ პრობლემად რჩება. ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს დასაქმება საკუთარი პროფესიით, განსაკუთრებით მაშინ როცა სტუდენტი ხარ. დღევანდელობაში ახალგაზრდებს უწევთ მიიღონ ეს გამოწვევა და სტატისტიკის მიხედვით სტუდენტების 80 პროცენტი დასაქმებულია სხვადასხვა ადგილას, ძირითადად მომსახურების სფეროში. ძირითადად ამის მიზეზი საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, სწავლის გადასახადის შეგროვება ან საარსებოს მოპოვებაა. ბევრი სტუდენტი უჩივის ისეთი სამსახურების არ არსებობას, რომელთან ერთადაც ისინი განათლების მიღებას უპრობლემოდ მოახერხებენ.

ვაკანსიების შემოწმებისას აღმოვაჩინე, რომ ძირითადად მაღაზიების ქსელები, საკონდიტროები, ონლაინ/ლაივ კაზინოები და სხვა მომსახურების სფეროები სთავაზობენ მოქნილ გრაფიკს სტუდენტებს. რის ფასად უჯდებათ სტუდენტებს იქ მუშაობა? რა სამუშაო პირობები ხვდებათ? როგორ უმკლავდებიან სამსახურის პარალელურად მუშაობას და რა უარყოფითი და დადებითი მხარეები აქვს ამ ყოველივეს?

,,მაღაზიათა ქსელი- ,,ორი ნაბიჯი“ აცხადებს ვაკანსიას მოლარე-კონსულტანტის პოზიციაზე. ჩვენ გთავაზობთ სტუდენტებზე მორგებულ გრაფიკს და სამუშაო პირობებს.“- ასე გამოიყურება ვაკანსია, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ დასაქმების საიტზე არის განთავსებული. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტმა თაზო თუთარაშვილმა გრაფიკისა და სამუშაო გამოცდილების ნაკლებობის გამო გადაწყვიტა მუშაობა ,,ორ ნაბიჯში“ დაეწყო, თუმცა იქ სულ სხვა რეალობა დახვდა. ,,ჩემს სახლთან და უნივერსიტეტთან ეს მაღაზია ძალიან ახლოს, იყო და ვიფიქრე, რომ რატომაც არა, ვიმუშავებდი და სწავლას დროსაც არ მოვაკლებდი. 2 გამოსაცდელი კვირა მომცეს. თუმცა მოლარე-კონსულტანტობასთან ერთად დამლაგებლობა, საწყობში პროდუქტების მიღება, დალაგება და სხვა შავი საქმეებიც მევალებოდა. ისე ვიღლებოდი, სახლში მისულზე მეცადინეობის თავიც არ მქონდა. ამას ემატებოდა ფსიქოლოგიური წნეხი მენეჯერისგან, რომელიც ირიბად გაგრძნობინებდა, რომ რასაც გეტყოდა, უნდა გაგეკეთებინა, თუ არადა წასულიყავი. მე ვფიქრობ, რომ სწავლასთან ერთად მუშაობა შესაძლებელია, თუმცა არა ორ ნაბიჯში.“- ამბობს თაზო.

ემა უგლავა საქართველოს უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. მან მუშაობა 18 წლის ასაკში საკონდიტრო ქსელ ,,მად-არტში“ დაიწყო მოლარე კონსულტანტად. მიზეზი ფინანსური დამოუკიდებლობა იყო. ,,12 საათიანი გრაფიკი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. თავიდან ვახერხებდი უნივერსიტეტში წასვლასა და მეცადინეობას, ზუსტად იმ ხარისხით, როგორც მანამდე. თუმცა შემდეგ ნელ-ნელა გავხდი უფრო არაპროდიქტიული, უძილობისგან დამეწყო თავის ტკივილი. ლექციების მოსმენის დროს გაფანტული ვიყავი. ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ამ სამსახურისთვის თავი დამენებებინა. გადავედი ,,ევოლუშენ ჯორჯიაში“, სადაც 8 საათიანი გრაფიკია. მართალია, გარემო აქაც სტრესული დამხვდა, თუმცა საათებს თავად ვირჩევდი და ნელ-ნელა მეტად პროდიქტიულიც გავხდი. ვფიქრობ, რთულია, თუმცა თუ სამსახური გრაფიკს სტუდენტებს თავად აარჩევინებს ყველაფერი ბევრად მარტივი გახდება.“.

ანა მესხია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი უნდა ყოფილიყო, თუმცა ვერ უწყობდა სწავლას და სამსახურს და გადაწყვიტა აკადემიური აეღო. ,,უნივერსიტეტი და სამსახური ერთად ჩემთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რადგან მიწევდა ღამის სმენის შემდეგ უნივერსიტეტში წასვლა. ნელ-ნელა დარწმუნებული ვარ ეს პროცესი ჯანმრთელობას დამიზიანებდა და გადავწყვიტე აკადემიური წლის აღება.“- ამბობს ანა.

სამი სტუდენტის ისტორიიდან ერთი და იმავე რამ იკვეთება. პირველი-სახელმწიფოს არ აქვს რესურსი, რომ სტუდენტებს საკუთარი პროფესიით დასაქმება შესთავაზოს კარგი ანაზღაურების სანაცვლოდ და მეორე-კომპანიები არ ითვალისწინებენ იმას, რომ განათლება დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მათ შეუძლიათ სტუდენტობის გათვალისწინება და ნაკლებად დატვირთვა, თუმცა სხვადასხვა მიზეზთა გამო არ აკეთებენ ამას. კითხვაზე შესაძლებელია თუ არა სწავლა და მუშაობა ერთად, სტუდენტების ერთხმად პასუხია, რომ დიახ, თუმცა არავინ იცის თუ რის ფასად უწევთ მათ ეს. სწავლა მუშაობასთან ერთად თუ სწავლის სანაცვლოდ? სრული გრაკიფიკით მუშაობა, დიახ მოითხოვს სწავლის რაღაც დონეზე დათმობას.
მუშაობა სწავლის პარალელურად ნიშნავს ფინანსურად რაღაც დონეზე დამოუკიდებლობას, თუმცა გარკვეულ ინტერესებზე უარის თქმას. ხშირად ხდება ისე, რომ სტუდენტები თავს ანებებენ საყვარელ საქმეს, უწევთ დროებით უარი თქვან საკუთარი თავის განვითარებაზე და ორიენტირებულნი იყვნონ ფინანსურ სიმყარეზე ან უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ ფინანსურ დამოუკიდებლობაზე,

მელანო ჭეიშვილი

# იბსუში ამერიკისმცოდნეობის ცენტრი გაიხსნა



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში თამარ შიოშვილის ამერიკისმცოდნეობის ცენტრი გაიხსნა. გახსნის ღონისძიებას ესწრებოდა აშშ-ს ელჩი საქართველოში კელი დეგნანი.

უნივერსიტეტის რექტორმა, დოქტორმა საფფეთ ბაირაქთუთანმა, ცენტრის გახსნაზე განაცხადა: “ცენტრის გახსნით ჩვენ ვეხმიანებით აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილეს და იმედი გვაქვს, სტრატეგიულ პარტნიორთან თანამშრომლობა მომავალშიც წარმატებით გაგრძელდება.“

თამარ შიოშვილის ამერიკისმცოდნეობის ცენტრში განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც წლების მანძილზე ამ პროგრამისთვის საჩუქრად გადაცემული წიგნებით შეივსო. ცენტრში ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები იმუშავებენ საკვლევ თემებზე, იქნება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების განხილვა ქართველ და ამერიკელ დარგის პროფესორებთან ერთად.

ელჩმა აღნიშნა, რომ თამარ შიოშვილის ამერიკისმცოდნეობის ცენტრის გახსნა და აქ ამერიკისმცოდნეობის საკითხების განხილვა-დისკუსიები ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხებს შორის მეგობრობის გაღრმავებას.

## უკრაინის მხარდასაჭერად IBSU-ში სისხლის დონაციის კამპანია შედგა



სტუდენტთა ინიციატივით, დღეს IBSU-ში სისხლის დონაციის კამპანია შედგა უკრაინის მხარდასაჭერად. კამპანიაში IBSU-ს სტუდენტებთან ერთად, მონაწილეობდნენ პროფესორები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. IBSU მადლობას უხდის ღონისძიების ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის ორგანიზაციას ახალი ძალა საქართველოსთვის და სტუდენტურ საინიციატოვო ჯგუფს.

ვიმედოვნებთ, მშვიდობა სულ მალე დაისადგურებს მსოფლიოში!

# ანა მაზიაშვილის ჟურნალისტური გამოკვლევა ძროხების ვაქცინაციის შესახებ ყალბ ინფორმაციაზე




IBSU-ს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტი ანა მაზიაშვილი მონაწილეობდა "მედიის განვითარების ფონდის პროექტში" და ისწავლა როგორ აღმოაჩინოს ყალბი ამბები სოციალურ ქსელებში და როგორ გადაამოწმოს ისინი.

ანას ჟურნალისტური მოკვლევა შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ძროხებს უკეთებენ mRNA ვაქცინას, რაც შემდგომ რძის პროდუქტებში ხვდება და ადამიანზე ვირუსის სახით გადადის.

ცნობისათვის, mRNA ვაქცინა COV-ID-19 საწინააღმდეგო პრეპარატია, რომელსაც 16 წლის და ზემოთ ასაკის ადამიანებისთვის იყენებენ.

კოვიდ პანდემიის დროს, ვაქცინაციის პროცესს ჰყავდა როგორც ბევრი მომხრე, ასევე მოწინააღმდეგე და შესაბამისად სოციალურ ქსელებში ვრცელდებოდა ზღვა ინფორმაცია მათი სასიკეთო თუ საზიანო ზეგავლენის შესახებ.

ანა მაზიაშვილის ჟურნალისტური ქეისი შეეხება 2022 წლის 11 ოქტომბერს Facebook-ის ერთი მომხმარებლის გვერდზე გამოქვეყნებულ კონკრეტულ მასალას, რომელიც ყალბი ინფორმაციის შემცველი იყო.

პოსტის მიხედვით, ავტორი ამტკიცებდა, რომ "ისინი აძლევენ ძროხებს mRNA ვაქცინას, რომელიც გადასცემს ვაქცინას რძეში, ყველში და ასე შემდეგ" და თან დართული ჰქონდა ფოტო, სადაც უცნობი ექიმი ძროხებს სინჯავდა.

როგორც ჟურნალისტური მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, ეს ფოტო აღებული იყო ერთ-ერთი ფოტო-რესურსების ვებგვერდიდან shutterstock, რომლის ნამდვილი ავტორიც იყო მითითებული. ფოტო, თავისი შინაარსით არანაირ კავშირში იყო კოვიდ-ვაქცინაციის პროცესთან და რეალურად ვეტერინარი რანჩოზე ცხოველებს სინჯავს.

როგორ აღმოაჩინა ანა მაზიაშვილმა ინფორმაციის სიყალბე და როგორ გადაამოწმა ის, ნაჩვენებია მის ვიდეო მასალაში, რომელიც გამოქვეყნდა მედია ცენტრის YouTube არხზე.

ანა მაზიაშვილის სტატიის სრულ ვერსიას კი შეგიძლიათ გაეცნოთ "მითების დეტექტორის" ვებგვერდზე.

# "საუბრები ჟურნალისტიკაზე"




აუდიტორიებში სწავლის განახლების შემდეგ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებმა აქტიურად დაიწყეს სხვადასხვა პრაქტიკულ სამუშაოში მონაწილეობის მიღება, განახლდა რადიო გადაცემების ჩაწერა. ერთ-ერთი სტუდენტური რადიო რუბრიკის თემაა „საუბრები ჟურნალისტიკაზე."

სტუდენტური რადიო გადაცემის პირველი სტუმარი იყო რადიო „პალიტრას"

სანფორმაციო სამსახურის უფროსი ანა მარშანია, წამყვანი კი ნინი შაორშაძე გახლდათ.



„რაც თავი მახსოვს ჟურნალისტობა მინდოდა, ვეცადე, რომ მევლო ძალიან ბევრს ადგილას, სადაც

ამ მიმართულებით ცოდნას გავიღრმავებდი. როგორც კი ვიგებდი, რომ იყო ამ მხრივ რაიმე სახის შესაძლებლობა, სადაც მიკოფონს ვნახავდი, კამერას, პატარა იმიტირებულ სტუდიას,

ვცდილობდი, რომ მევლო"- ანა მარშანია,

სტუმარმა მომავალ ჟურნალისტებს რჩევებიც მისცა, რომ მათი დასაქმების პერსპექტივები გაიზარდოს.

„ერთადერთი, რასაც ვთხოვ სტუდენტებს, არის ის, რომ თავი გამოიჩინონ, მოინდომონ, ყველაფერში მონაწილეობა მიიღონ. მე, როგორც დამსაქმებელი ხშირად ვხვდები შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს და ნამდვილად გამორჩეული კადრები არიან, კიდევ ერთხელ ვადასტურებ ჩემს პატივისცემას თქვენი უნივერსიტეტის მიმართ"- ანა მარშანია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, მედია ცენტრისა და რადიო სტუდიის მეორე

სტუმარი იყო ჟურნალისტიკის



საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული - თამარ გეგენავა. თამარი

ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებს ესაუბრა დამწყები ჟურნალისტებისთვის

კარიერის პირველ ეტაპებსა და იმ მთავარ ღირებულებებზე, რომლის გარეშეც ეს

პროფესია წარმოუდგენელია.

რადიო გადაცემა მოამზადეს ლიკუნა ჟორდანიძემ, დავით

მათიაშვილმა, ანა ჩალაშვილმა და ლუკა ამბალიამ.

„როდესაც მე ამ პროფესიას ვირჩევდი, ჩემი მთავარი მიზანი იყო საზოგადოებისთვის

ვყოფილიყავი სიმართლის და სწორი ინფორმაციის გამტარი, მგონია, რომ ეს არის 21-ე

საუკუნის, დღევანდელობის პროფესია, სადაც ჩვენ აუცილებლად გვჭირდება საკუთარი

თავის პოვნა" - თამარ გეგენავა.

სტუმარი ბევრ საინტერესო საკითხს შეეხო და ისაუბრა უშუალოდ მის მიმართულებაზე, ბიზნესისა და ეკონომიკის საკითხების პეციფიკის გაშუქებაზე.

„ვუყურებ ჟურნალისტიკის ბაზარს საქართველოში და ვხედავ, რომ მათ ვინც დაამთავრეს

ჟურნალისტიკა, აშინებთ ბიზნესისა და ენოკომიკის გაშუქება და ჩემთვის ამუხსნელია - რატომ. ვფიქრობ, რომ დღეს ჟურნალისტიკა

ისე ჩამოყალიბდა, უნდა იყო უნივერსალური და ყველას უნდა ჰქონდეს სხვადასხვა

მიმართულებით ცოდნა, უნივერსალურობის გარეშე ვერ იქნები პროფესიონალის მაგალითი"

რადიო გადაცემის შემდეგი სტუმარი იყო ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კიდევ ერთი

კურსდამთავრებული - გვანცა ნადიბაიძე.

გადაცემაზე იმუშავეს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის

მესამეკურსელებმა, გვანცა გოგიაშვილმა და ანა ჩალაშვილმა.

ამჟამად, გვანცა ნადიბაიძე "ინდიგოს" ჟურნალისტია. მან, რადიო გადაცემაში გაიხსენა IBSU-ში გატარებული წლები



და სტუდენტებს გაუმხილა თავისი ფორმულა, თუ

რა უნდა გააკეთოს დამწყებმა ჟურნალისტმა აუდიტორიამდე სათქმელის ეფექტურად და სწორად მისატანად.

„ყველაზე დიდი ბედნიერება ამ პროფესიაში არის ის, როცა შეგიძლია ვიღაცის ცხოვრება

გახადო უკეთესი, და შეიძლება შენი ჟურნალისიტური პროდუქტი ღირდეს მარტო მაგ

ადამიანის ბედნიერებად" - გვანცა ნადიბაიძე.

ასევე IBSU-ს ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები, ანი ჭედია და მარიამ წივილაძე, რადიო გადაცემის - "საუბრები ჟურნალისტიკაზე" სტუმრები იყვნენ.

რა სჭირდება დამწყებ ჟურნალისტს მოტივაციისთვის, რა განსხვავებაა

ჟურნალისტიკასა და სხვა მომიჯნავე პროფესიებს შორის, როგორია პროდიუსერის თუ ჟურნალისტის საქმიანობა კადრს მიღმა - ამ და სხვა თემებზე კითხვები ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის



სტუდენტმა თამარ ჩხიკვაძემ დაუსვა.

მარიამ წივილაძე: „ვთლი რომ სტუდენტობის დროს უფრო მეტად უნდა ჩავრთულიყავი ჟურნალისტიკის პროცესში, უფრო მეტი სტაჟირება უნდა გამეარა, ჯობია რაღაცა ცოდნა დააგროვო იმაში

რაც გიყვარს, ვიდრე რაღაც მხრივ ფინანსურად იყო გამართული".

ანი ჭედია: „ვამბობთ, რომ ჩვენ, ჟურნალისტებს ხალხის მაჯის ცემაზე გვიდევს თითი, და სწორედ

ეს მაკლდა მე იმ პერიოდში, როდესაც სოც. მედიაში ვმუშაობდი. იქ მაინც ადგილიდან

ვმუშაობდი, მიუხედავად იმისა, რომ გადაღებებს ვგეგმავდით ჩემთვის მაინც უფრო

საჭირო იყო გამეკეთებინა რისერჩები, მქონოდა კონტაქტები რეპსოდენტებთან

რომლისგანაც პასუხს ზოგჯერ იღებ, ზოგჯერ ვერ, მაგრამ აქ მაინც ყველაფრის კეთება იყო ჩემთვის უდიდესი ბედნიერება".რადიო გადაცემების ციკლი - "საუბრები ჟურნალისტიკაზე დაგეგმვა და ჩაწერა იბსუში დღემდე გრძელდება და იბსუს რადიო სტუდია მომავალში კიდევ ბევრ საინტერესო სტუმარს ელოდება.

# ფოტოჟურნალისტიკის სასწავლო ექსკურსია გრემში















# "წარმატება არ არის ჩემი მიზანი. მე რაღაც ეჭვის თვალით ვუყურებ ამ ცნებას" - ბაია პატარაია

*ანუკი გოგოძე*



ბაია პატარაია 2013 წლიდან დღემდე ორგანიზაცია „საფარის" დირექტორია. იგი იურისტი,ფემინისტი და ქალთა უფლებათა დამცველია, მან განაგრძო "საფარის" საქმიანობა და შეეცადა, ქალთა უფლებები ქვეყანაში ყველაზე პრიორიტეტულ საკითხთა შორის გ ა მ ო ე ტ ა ნ ა . დღეისთვის ორგანიზაცია საფარი მთელი ქვეყნის მასშტაბით უწევს ქალებს იურიდიულ დახმარებას როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური, სექსუალური და ეკონომიკური ძალადობის საკითხებზე. გარდა ამისა, რეგულარულად ატარებენ კვლევებს, ქმნიან სოციალურ კამპანიებს და ხელს უწყობენ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდას ქალთა უფლებების გარშემო".

-როგორ დაიწყო თქვენი თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ა ორგანიზაცია „საფართან"?

-„საფარი" არსებობს 2001 წლიდან, მე ამ ორგანიზაციას ვიცნობდი, რადგან მოხალისე ვიყავი და გარკვეული პერიოდით,2008-2009 წლებში, ვმუშაობდი კიდეც „საფარში".

-როდის დაბრუნდით ამ ორგანიზაციაში და რა შეიცვალა თქვენი დაბრუნებით ?

-2013 წელს უკვე დავბრუნდი ამ ორგანიზაციაში, როგორც ორგანიზაციის დირექტორი. მანამდე ეს ორგანიზაცია მხოლოდ იურიდიულ კონსულტაციას და ფსიქო-სოციალურ მომსახურებას უწევდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ქალებს. ხოლო, რაც მე შევუერთდი, ძალიან გაძლიერდა ამ ორგანიზაციის იურიდიული მიმართულება.

-როგორ შეძელით ორგანიზაციის გაძლიერება იურიდიული მიმართულებით?

-მე მაქვს იურიდიული განათლება და მქონდა ხედვები, რომ მნიშვნელოვანი იყო სტრატეგიული საქმის წარმოება და ,ასევე, მნიშვნელოვანი იყო ამ სტრატეგიულ საქმეებზე მედიასთან და საჯაროდ საუბარი, რომ უფრო მეტ ქალს გამოეყენებინა კანონი და სამართალი, რათა ესარგებლა პოლიციის და პროკურატურის სერვისებით.

-თვლით თუ არა თავს წარმატებულ ადამიანად?

-წარმატებულობა არის, როგორც გვერდითი თანხმხლები ეფექტი თუ მოვლენა, რადგან შემდეგ ვიღაცები ჩათვლიან, რომ წარმატებული ხარ, მაგრამ ცოტა ბუნდოვანია და ეჭვისთვალით ვუყურებ ამ მცნებას.

- რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენთვის ?

-ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და არის, რომ დავეხმარო ადამიანებს სისტემურად. უბრალოდ ერთ ადამიანს კიარ გავუწიო რაღაცა ტიპის დახმარება, არამედ ვიმუშაო იმ სისტემაზე, რომელიც დაიცავს ამ ადამიანებს. მაგალითად ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ შსს, პროკურატურა, სასამართლო მუშაობდნენ გამართულად, რადგან მათი გამართულად მუშაობა ნიშნავს ძალიან ბევრი ადამიანის, მათ შორის ქალების, უფლებები იქნება დაცული.



-რა არის თქვენი მიზანი და რაზე ხართ ორიენტირებული ?

-ორიენტირებული ვარ სისტემური ხარვეზების აღმოფხვრაზე და არა ის, რომ კონკრეტულად რომელიმე საქმე მოვიგო. ერთ ადამიანს, რომ ეხმარები და იმარჯვებ კარგია, მაგრამ არსებობს ისეთი საქმეები, რომლითაც შეგიძლია გააუმჯობესო თვითონ სისტემა და დაეხმარო ძალიან ბევრ ადამიანს, რომელსაც შეიძლება არც იცნობ.

-ქალბატონო ბაია, თქვენი აზრი რომ დააფიქსიროთ თანასწორობაზე

-მნიშვნელოვანია აზროვნების ცვლილება. პატრიარქალური აზროვნება, რომელიც გულისხმობს კაცის უპირატესობას ქალზე, უნდა შეიცვალოს. მე, როგორც ფემინისტს და ზოგადად ადამიანის უფლებათა დამცველს, მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ღირებულებაა ადამიანის თანასწორობა. აბსოლუტური თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია და არც გამოვა, მაგრამ უფლებრივი თანასწორობა რეალურ ცხოვრებაში უნდა იყოს მიღწევადი და არა მხოლოდ ფურცელზე დაწერილი.

-თვლით თუ არა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადამიანი ხართ 21-ე საუკუნეში მცხოვრები ქალებისთვის ?

-მნიშვნელოვან ადამიანად ყოფნა იმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რამდენად გავლენიანი იქნება ჩემი მუშაობა, იმაზე, რომ, მაგალითად სისტემა დაიხვეწოს მნიშვნელოვნად და მენტალიტეტი შეიცვალოს უფრო თანასწორობისკენ. თუ განხორციელდა ეს ცვლილებები, ხალხი თვითონ შეაფასებს რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ ცვლილებაში კონკრეტული ინდივიდების როლი. ვფიქრობ, ამას უფრო მომავალი თაობები გვიჩვენებს, როდესაც ისინი რეტროსპექციურად გადახედავენ წარსულს და გააკეათებენ ამის ანალიზს, მაშინ გამოკვეთენ ვისი როლი იყო ეს ყოველივე. 21-ე საუკუნე არის მეტად თანასწორობაზე ორიენტირებული დრო, ვიდრე აქამდე იყო და სწორედ ამ დროში მივაღწევთ ყველაზე დიდ ცვლილებებს. „ქალების ძალა ერთიანობაშია, ეს უნდა იცოდეს ყველა ქალმა! თუ ქალები არ მივატოვებთ ერთმანეთს, მაშინ ყველაფერს შევძლებთ!"-ბაია პატარაია.

# მარიამი – პირველად IBSU-ს რადიოში



მარიამ გარაყანიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტია. მარიამის გაცნობისთანავე მიხვდებით, რომ მას უამრავი ადამიანისთვის მოტივაციის მიცემა შეუძლია.

მარიამმა, მისი მეგობარი ანა ქარელი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიცნო. ანა, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტია. გოგონები, ერთად დიდ დროს ატარებენ, IBSU-ში თუ მის ფარგლებს გარეთ. მარიამი და ანა, პირველად ესტუმრნენ IBSU-ს მედია ცენტრს. პირველი სიტყვები, რაც მათ რადიოს სტუდიაში შესვლისას წამოიძახეს იყო WOW. მარიამმა ეს ასე ახსნა: "რა მაგარია, გამოცდილების მიღების ამხელა შესაძლებლობა რომ აქვთ ჩვენს სტუდენტებს.





მარიამ გარაყანიძე: "არ არის მარტივი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და სტუდენტი, იცხოვრო დამოუკიდებლად, იმუშავო და გაუმკლავდე უამრავ პრობლემას. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი შესაძლებელია და ეს არის ჩემი მთავარი მოტივაციაც და გამოწვევაც, რომ ეს სხვებს დავანახო". მარიამი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან ახლოს ცხოვრობს და სულ 4 წუთი სჭირდება უნივერსიტეტში მისასვლელად. მას აინტერესებს როგორც თავისი პროფესია, რომელსაც IBSU-ში ეუფლება, ასევე IT მიმართულება და ახლა პროგრამულ ენა "პითონს" სწავლობს.

ყველაზე მეტად მომეწონა IBSU-ს სურვილი და მზაობა სტუდენტებს მისცეს ამხელა შესაძლებლობები". მარიამმა ჩვენთან საუბრისას ეს ისტორიაც გაიხსენა: "უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე B კორპუსს სხვანაირი პანდუსი ჰქონდა და მასზე დამოუკიდებლად ასვლა მიჭირდა. ეს რომ IBSU-ს ადმინისტრაციამ შეამჩნია, დაახლოებით ერთ კვირში ახალი პანდუსი დამახვედრეს და ახლა უფრო იოლად გადავაადგილდები". რაც გინდა მოამზადონ, ეს იქნება მაგალითი და მოტივაცია სხვებისთვის.







**ლუკა ამბალია**

## როგორ ამოვიცნოთ ფოტომანიპულაცია?



ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის მესამე კურსის სტუდენტმა ნინი შაორშაძემ "მედიის განვითარების ფონდის" პროექტის ფარგლებში ისწავლა – როგორ ამოიცნოს ფოტომანიპულაცია. ამის საილუსტრაციოდ, მან მოამზადა ინფოგრაფიკა რომელიც ეხება უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ ვალერი ზალუჟნის შესახებ 2022 წლის ოქტომბერში გავრცელებულ ფ ო ტ ო მ ა ნ ი პ უ ლ ა ც ი ა ს , თითქოს ზალუჟნი ნაცისტურ სამაჯურს ატარებდა.

კრემლის მხარდამჭერი მედიები, ზემოთაღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად ავრცელებდნენ ზალუჟნის სამაჯურიან ფოტოსაც და სტატიაში აღნიშნავდნენ, რომ ვალერი ზალუჟნის სამაჯური რამდენიმე რგოლისგან შედგებოდა რომლებზეც სხვადასხვა ორნამენტთან ერთად გამოსახული იყო ნაცისტური სიმბოლო – სვასტიკა. იგივე ფოტო, ქართულმა და რუსულენოვანმა ფეისბუკ მომხმარებლებმაც გამოაქვეყნეს.

გავრცელებული ინფორმაცია ფ ო ტ ო მ ა ნ ი პ უ ლ ა ც ი ა ა . სინამდვილეში, სამაჯურზე არა სვასტიკა არამედ სკანდინავიური სიმბოლოა გამოსახული. ფოტო ავთენტურია, თუმცა სამაჯურის გამოსახულების დაბალმა რეზოლუციამ ინტერნეტ მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანა.

უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ვალერი ზალუჟნიმ საკუთარი ფოტო, სადაც მას სწორედ ზემოთაღნიშნული სამაჯური ეკეთა, მართლაც გამოაქვეყნა Twitter-ზე. მოგვიანებით, უკრაინის შეიარაღებული ძალების ოფიცერმა, ანატოლი შტეფანმა (შტირლიცი) იმის საჩვენებლად, თუ როგორ სამაჯურს ატარებდა ზალუჟნი, Twitter-ზე უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამაჯურის ფოტო ისეთი რეზოლუციით გამოაქვეყნა, სადაც ნათლად ჩანდა, რომ ეს სიმბოლო არა სვასტიკა, არამედ სკანდინავიური (კელტური კვანძის მსგავსი) ნიშანი იყო.

მსგავსი სამაჯურის ნახვა მაღაზია Pakabone-ის საიტზეა ხელმისაწვდომი, სადაც სლავური, სკანდინავიური და ტომობრივი ატრიბუტების ყიდვაა შესაძლებელი. მაღაზიის ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომია ზალუჟნის სამაჯურის ის სიმბოლო, რომელიც მანიპულაციურად გაავრცელეს და სვასტიკას დაუკავშირეს.

ნინი შაორშაძის კვლევის სრულ ტექსტს შეგიძლიათ გაეცნოთ "მითების დეტექტორის" ვებგვერდზე.

# მთავარი სპორტული სიახლეები 2022

**ბექა წიკლაური**

2022 წელს ჩვენს სპორტშიც უამრავი საინტერესო რამ მოხდა: ვნახეთ დაგეგმილი და მოულოდნელი გამარჯვებებიც, იმედგაცრუებაც, ახალი სახეებიც...

როგორც ყოველთვის, წარმატებით იასპარეზეს ქართველმა ძიუდოისტებმა და მოჭიდავეებმა, ლაშა ტალახაძე მეექვსედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ჩინებული სეზონი ჰქონდათ ქართველ მორაგბეებს, საქართველოს ფიგურული ციგურაობის ნაკრების წევრებს, მოფარიკავე სანდრო ბაზაძეს, ახალგაზრდა ნიჩბოსან ალექსანდრე წივწივაძეს და სხვ. ინდივიდუალური წარმატებით გაგვახარეს ქართველმა ფეხბურთელებმა და კალათბურთელებმა, აი, თბილისში გამართული ევრობასკეტი კი, საქართველოს ნაკრებისთვის იღბლიანი არ აღმოჩნდა... ტრადიციულად, წარუმატებელი (რიგ შემთხვევაში - სამარცხვინოც!) გამოდგა ქართული საფეხბურთო კლუბებისთვის ევროთასებისკენ მიმავალი გზა. სამაგიეროდ, საქართველოს საფეხბურთო ეროვნულმა ნაკრებმა დაასრულა პირველ ადგილზე უეფას ერთა ლიგის გათამაშება და C-დან B ლიგაში დაწინაურდა, 2024 წლის გაზაფხულზე კი ამავე ტურნირის პლეი-ოფში ითამაშებს... ცხადია, ყველაფერს ვერ გავიხსენებთ,მაგრამ ქართული სპორტული წლის რამდენიმე მთავარ ამბავსაც გადავავლოთ თვალი:

### რაგბი ჩვენი თამაშია!



ისტორიული გამარჯვებებით გაგვახარა საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა: გაზაფხულზე, ბორჯღალოსნებმა მეთოთხმეტედ მოიპოვეს რაგბი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულის ტიტული, ივლისში, ბათუმის გადაჭედილ არენაზე, იტალიას აჯობეს (28:19), ნოემბერში კი, კარდიფის სტადიონზე შეკრებილი 64000 მაყურებლის თვალწინ, უელსის ნაკრებიც დაამარცხეს (13:12) და ექვსი ერის კარზე კიდევ უფრო ხმაურიანად დააკაკუნეს. წარმატებულ სვლას აგრძელებს პირველი ქართული ფრანჩაიზ-კლუბი შავი ლომიც, რომელიც ზედიზედ მეორედ გახდა რაგბის ევროპის სუპერთასის ჩემპიონი. ავჭალის სტადიონზე გამართულ ფინალში ლომებმა (29:17) დაამარცხეს თელ-ავივ ჰითი და თასი საქართველოში დატოვეს.

### ,,კვარადონა''

გასული სეზონის მთავარი ვარსკვლავი ქართულ (და არა მარტო!) სპორტში - ხვიჩა კვარაცხელია.

21 წლის ფეხბურთელი, რომელმაც რამდენიმე თვეში გადარია ნეაპოლი, მთლიანად - აპენინის ნახევარკუნძული და... ცხადია, საქართველოც! ბიჭი, რომელიც ნაპოლიში გადასვლისთანავე იქცა იტალიის სერია ჩემპიონთა ლიგის ყველაზე საინტერესო მოთამაშედ. ფანტასტიკური ტექნიკა და პასები, გოლები იტალიის ჩემპიონატში და ჩემპიონთა ლიგაზე, საოცარი შეფასებები ცნობილი მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისგან, რამდენიმე თვეში გასამმაგებული სატრანსფერო ღირებულება - სიზმარი, სახელად ხვიჩა კვარაცხელია გრძელდება და ახალგაზრდა ქართველი პოპულარობით მხოლოდ ნეაპოლის



ყველა დროის მთავარ ვარსკვლავს - დიეგო მარადონას ჩამორჩება.

თუმცა ხვიჩას ვინმესთან შედარება არ უყვარს (რამხელა პატივიც უნდა იყოს!). სამხრეთ იტალიაში ფეხბურთის სათამაშოდ ჩავიდა, თამაშობს და თამაშით სიამოვნებას იღებს თვითონაც და მაყურებელიც. სწორედ ეს არის ფეხბურთის მთავარი მიზანი - ითამაშე სიამოვნებისთვის! ჩვენ კი ორმაგად გვიხარია, რომ წლების შემდეგ ისევ გვყავს ჩვენი კაცი დიდ ფეხბურთში. ნაპოლის და საქართველოს ნაკრების ახალი ვარსკვლავი - ხვიჩა კვარაცხელია.

### ძალოსანი ლაშა ტალახაძე მეექვსედ გახდა მსოფლიოს



### ჩემპიონი

ლაშა ტალახაძემ მსოფლიოს ჩემპიონატი ზედიზედ მეექვსედ მოიგო.

29 წლის ქართველმა ძალოსანმა ლაშა ტალახაძემ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მეექვსედ მოიპოვა. პლანეტის უძლიერესი ძალოსნის მორიგი ტრიუმფი კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ვიხილეთ, სადაც დღეს ფიცარნაგზე უმძიმესი +109 კგ. წონითი კატეგორიის წარმომადგენლები გავიდნენ, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ლაშას ამჯერად დიდი კონკურენციის დაძლევა მოუწია. საერთო ჯამში, ტალახაძემ 6-დან 4 ცდა გამოიყენა და ეს ფაქტიც მეტყველებს, რომ ტრავმის გამო, ის ტურნირს საუკეთესო ფორმაში მყოფი არ შეხვედრია.

ქართველი ძალოსანი ატაცში 208 და 215 კგ-ს გაუმკლავდა, 220-კილოგრამიანი შტანგა კი ვერ დასძლია, თუმცა, ოქრო მაინც დაისაკუთრა.დიდი ბრძოლა შედგა აკვრაშიც, სადაც ლაშას 245 კგ-ზე თითქოს წარმატებული მისვლა არ ჩაუთვალეს, მე-2 ჯერზე ეს წონა მაინც დააფიქსირა.

მსოფლიოს ჩემპიონატის ოქრო კი მას 251 კგ. შტანგის აწევამ მოუტანა,ტალახაძე ჯამური 466 კგ-თ გაჩემპიონდა,

შეგახსენებთ, რომ ტალახაძეს ევროპის ჩემპიონატიც ექვსჯერ აქვს მოგებული და 2016 და 2020 წლის ოლიმპიადების გამარჯვებულიც გახლავთ.



### ფიგურული სრიალი 2022

სპორტულ ცეკვებში ქართული წყვილი მარია კაზაკოვასა და გიორგი რევიას შემადგენლობით გერმანიის ქალაქ დორტმუნდში გამართული საერთაშორისო ტურნირის (NRW Trophy) გამარჯვებული გახდა.

ქართველმა ფიგურულად მოციგურავეებმა რითმულ ცეკვაში 74.73 ქულა მიიღეს, თავისუფალში – 113.65 და ჯამში 188.38 ქულა მოაგროვეს, რაც მათთვის სეზონის საუკეთესო შედეგია.

ტურნირში 7 წყვილი მონაწილეობდა და აღსანიშნავია, რომ რევიამა და კაზაკოვამ მე-2 ადგილზე გასულ პოლონელ სპორტსმენებს 26.74 ქულით აჯობეს, ბრინჯაო კი გერმანელებს ერგოთ. და არა მარტო ეს წარმატება უკავშირდება 2022-ს ფიგურულ სრიალს,უამრავმა ნიჭიერმა სპორცმენმა მიაღწია წარმატებას,მორის ყვითელაშვილი,ანასტასია გუბანოვმა და სხვებმა.

### 2022 წელი ქართული ძუდოსთვის

2022 წელი ქართული ძიუდოსთვის საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. მამაკაცთა ნაკრებმა პირველხარისხოვან ტურნირებზე (Masters, Grand Prix, Grand Slam), ხარისხობრივ-რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით, საუკეთესო



შედეგი აჩვენა და მსოფლიოს მასშტაბით პირველ ადგილზე არის. საქართველომ შეძლო და ძიუდოს სამშობლოს იაპონიას გადაასწრო. ჩვენმა სპორტსმენებმა წელს 15 ოქროს, 11 ვერცხლის და 14 ბრინჯაო მოიპოვება შეძლეს. 2022 წლის ძიუდოს მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე საშეჯიბრო დღეს, -81 კგ წონით კატეგორიაში, მონაწილეობა ტატო გრიგალაშვილმა მიიღო, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ტიტული კარიერაში პირველად მოიპოვა. ტატომ ფინალში ბელგიელი მსოფლიო ჩემპიონი – მატიას კასე დაამარცხა.

წელს მოპოვებული მედლების მიხედვით,აქაც საუკეთესო ტატო გრიგალაშვილი იყო, რომელმაც 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვა. ტატომ სამიდან ერთი ოქროს მედალი როგორც ავღნიშნეთ მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა და ამ გამარჯვებით დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მეექვსე ძიუდოისტი გახდა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონობა იზეიმა.

მსოფლიო ჩემპიონატზე ასევე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს 90-კგ კატეგორიში მოასპარეზე ლაშა ბექაურმა და ლუკა მაისურაძემ.

ამ ტრიუმფარული წლის ბოლოს კი იერუსალიმის გრანდ სლემი იყო,სადაც ჩვენმა ძიუდოისტებმა იმედები არ გაგვიცრუეს და ოქროს მედლებით გაგვახარეს. სადაც საქართველოს ნაკრებმა 3 მედალი მოიპოვა: 2 ოქრო და 1 ბრინჯაო. აღნიშნულ ტურნირზე, ტატო გრიგალაშვილის გარდა, ჩემპიონობა -100 კგ. წონით კატეგორიაში ილია სულამანიძემაც იზეიმა.ბრინჯაოს მედალი კი 90-კგ. ლუკა მაისურაძემ მოიპოვა.

### ნონამ Netflix-საც აჯობა!



ქართული და მსოფლიო ჭადრაკის ლეგენდამ ნონა გაფრინდაშვილმა ნოემბრის მიწურულს მერვედ გაიმარჯვა სენიორ-მოჭადრაკეთა (+65) მსოფლიო ჩემპიონატზე. მანამდე კი, 2022 წლის სექტემბერში, ნონამ მორიგ, გაცილებით რეზონანსულ გამარჯვებას მიაღწია: მორიგებით დასრულდა მისი დავა ამერიკული სამაუწყებლო და საპროდუქციო კომპანია Netflix-ის წინააღმდეგ. ლეგენდარული მოჭადრაკის სარჩელი მოჰყვა 2020 წელს "ნეტფლიქსის" გადაღებულ მინისერიალს "ლაზიერის გამბიტი", რომელშიც ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკეც არის ნახსენები, ოღონდ... მოხსენიებულია როგორც მოთამაშე, რომელიც "არის რუსეთიდან" და რომელსაც „არასდროს უთამაშია მამაკაცი მოჭადრაკეების წინააღმდეგ". საბოლოოდ, საქმის განხილვა მხარეთა მორიგებით დასრულდა. შეთანხმების პირობები კონფიდენციალურია და არ ხმაურდება, თუმცა ნონამ "კვირის პალიტრას" უთხრა, რომ "შეთანხმება აღიარებას ნიშნავს! სწორედ ეს იყო მთავარი. ეს შედეგი პრეცედენტია რეჟისორებისა და პროდიუსერებისთვის, რომ არ შეიძლება რეალური ფაქტების დამახინჯება "სიტყვის თავისუფლებაზე" აპელირებით".

## ყალბი ინფორმაცია ახალ ზელანდიაში ვაქცინაციის შესახებ



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის პროგრამის მეორე კურსის სტუდენტი **ლუკა ამბალია** მონაწილეობდა "მედიის განვითრების ფონდის" 6 თვიან სასწავლო პროგრამაში "მითების დეტექტორი". პროგრამის ფარგლებში ლუკამ ისწავლა ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირებისა და ფაქტების გადასამოწმებლად სხვადასხვა ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება.

### სად იყო სიყალბე?

ერთ-ერთმა ფეისბუკ მომხმარებელმა თავის პირად პროფილზე გამოაქვეყნა პოსტი, რომელშიც აღნიშნავს, რომ ახალი ზელანდიის მთავრობა გამაფრთხილებელ წერილებს უგზავნის მოსახლეობას და ვაქცინაციაზე უარის თქმის შემთხვევაში 6 თვე პატიმრობით ან 15 000 დოლარის ჯარიმით ემუქრება. პოსტს თან ერთვის დოკუმენტიც, რომელშიც მითითებულია, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმა ან პატიმრობა გავრცელებულ პოსტში მოცემული ინფორმაცია და დოკუმენტიც ყალბია. რეალურად, ახალ ზელანდიაში მსგავსი კანონი, რომელიც აუცრელობის შემთხვევაში ჯარიმას ან პატიმრობას ითვალისწინებს, არ არსებობს და ვაქცინაცია სავალდებულო არ არის. გარდა ამისა, ლუკამ გადაამოწმა, რომ დოკუმენტში გამოყენებული ტექსტი ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდიდანაა დაკოპირებული. კონკრეტულად იმ ნაწილიდან, სადაც ჯანდაცვის სფეროს ზოგიერთი მუშაკის სავალდებულო ვაქცინაციაზეა საუბარი. გაყალბებულ წერილში იდენტური ტექსტია გამოყენებული, შეცვლილია მხოლოდ თარიღები და ჯანდაცვის სფეროს მუშაკების ნაცვლად შესავალში წერია, რომ ნებისმიერი დასაქმებული უნდა აიცრას. საბოლოოდ კი დადგინდა, რომ 2022 წლის 4 აპრილიდან ვაქცინაციის ვალდებულება სკოლის მასწავლებლებისთვის მოიხსნა. კოვიდსაწინააღმდეგო ვაქციანაცია ახალ ზელანდიაში დანარჩენი მოსახლეობისთვის სავალდებულო არასდროს ყოფილა.

გაზეთზე იმუშავეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებმა

გაზეთი ეკუთვნის შპს "შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, ვრცელდება უფასოდ

+995 32 2595005
+995 32 2595008
contact@ibsu.edu.ge
ibsu.edu.ge

დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. თბილისი, საქართველო 0131